1995

№ 6–7 1995

# საქართველოს ქალი



პრობლემები გაწუხებთ?

ფსიქოლოგიური სამსახური ოჯახისათვის

ნარკომანია დედებსაც გვართმევს

პრაქტიკუმი მშობლებისათვის: აგრესიულობა

სახარება ყმაწვილთათვის

ჭყონიების დინასტია

წერილი მარადიულს — ნაზი კილასონიას პროზა

ქალი და ინფარქტი

„ივანანა“ — კეთილი მეგზური

სილამაზის გაკვეთილები

III
57
№ 6–12

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

ზარიკა ბარათაშვილი

ნაზი თარბამაძე

ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ბუკა კვარაცხელია

ნანული ცაგარეიშვილი

ცინარა მერმელაძე
(მხატვრული რედაქტორი)

ირმა ხოფიკაშვილი

ნინო ჯავახიშვილი

ნოდარ ჯავგლიძე

ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ
გვერდზე — კადრი
ფილმიდან „იავნანა“
მეოთხეზე — ზურაბ
დათუაშვილის
ფოტოგრაფიკა

დამფუძნებელი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia

# ამის დავიწყება

ამის პრეზიდენტყოფილი უკვე ზუგდიდში იმყოფებოდა, როცა ლტოლვილთა აურაცხელი ნაკადი მოაწყდა ოჭაურობას, ძირითადად ოჩამჩირელები იყვნენ, ფეხშიშველა ბავშვები, ნახევრად შიშველი ქალები და მოხუცები. დიდი პანიკა და ალიაქოთი იყო. ისინი თავშესაფარს ვერ პოულობდნენ. ზუგდიდში აღლადგენილმა ხელისუფლებამ მიტინგი ჩაატარა. ათას ხიკეთეს დაჰპირდა გზააბნეულ ხალხს და ასობით ლტოლვილი (ბავშვები და ქალები) თეატრის შენობაში შეყარა. მთელი ღამე ისმოდა დამშეული ბავშვების ტირილი. არც მეორე და მესამე დღეს გამოჩენიათ პატრონი მთავრობის მხრიდან. ისევ მოსახლეობა ფაციფუცობდა. ვინ პური მიაწოდა, ვინ ყველი, ვინ მარილი და ბოსტნეული. მხოლოდ ერთი კვირის თავზე მოხერხდა მათი გადანაწილება ბაღებში, სკოლებში, სხვადასხვა დაწესებულებებში და მაინც ბევრი ათენებდა ქუჩაში. განსაკუთრებით მას მერე, რაც აფხაზებმა გალი აიღეს.

პირველად ახალდაბელებს შევხვდი გზაში. სამი ოჯახი იყო. ათამდე ბავშვი ახლდათ. ქუთაისში მიდიოდნენ. ორი დღეა აქ ვდგავართ და არაფერმა გამოიარა, რომ წაგვიყვანოსო, — ჩიოდნენ ისინი. აღარც საჭმელი ჰქონდათ...

აი, რა გვითხრეს მათ:

ნ. ბუბუნავა: — ერთი კვირა ტყვედ ვიყავით. ვინც დამალვა ვერ მოვასწარით, ტყვარჩელში წაგვასხეს და სტადიონზე მოგვიყარეს თავი. 13 წლის ზევით თითქმის ყველა გოგონას ნამუსი ახადეს, ზოგი ზღვაში გადაყარეს, ზოგი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ბოლო დღეს ფუსფუსი ატყდა, აფხაზურად ლაპარაკობდნენ, ჩეჩნებიც იყვნენ, მერე კარი გახსნეს და გამოგვიშვეს. ოთხი დღე ვიარეთ ფეხით და ზუგდიდში ჩამოვაღწიეთ. ქუთაისში ახლობელი მყავს, მაგრამ დილიდან აქ ვდგავართ და არაფერს გაუვლია.



# არ შეიძლება!

## თვითმხილველის ნაამბობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მართლაც, ტრანსპორტის ჭაჭანება არაა. 80 წელს მიტანებული ლტოლვილი ქალი დგას შუა ქუჩაში და ამაოდ ეხვეწება გამვლელ მანქანებს წაყვანას. არავინ უჩერებს. ზოგს ადგილი არა აქვს, ზოგი იმ გზაზე არ მიდის და მიზეზს რა გამოლევს.

ბოლოს დაიჩოქა შუა გზაზე. შორს უცხოური მარკის მანქანაც გამოჩნდა. ხუთი კაცი იჯდა შიგ. ნუგზარ მოლოდინაშვილიც შევიცანი, მაგრამ მათ მოლაპარაკებულებივით გვერდზე იბრუნეს პირი, ლამის გადაუარეს მოხუცს. დიდხანს ქვითინებდა თავქვედამხობილი. მერე მამაკაცებმა გვერდზე გაიყვანეს.

შარსანმა ქალბატონმა ჩამოიარა გზაზე და უცებ ჩემსკენ შემოტრიალდა, — თქვენც ლტოლვილი ხართ, შვილო?

უსიტყვოდ დავუქნიე თავი.

— აი, რა გვიყო შევარდნაძემ, რა დღეში ჩააგდო ხალხი.

ვიფიქრე შევეპასუხები, თვალს ავახელინებ. ასე უმოწყალოდ ქუჩაში დაყრილ ქალებს და ბავშვებს შევახედებ, პურითაც რომ ვერ უზრუნველყო ზუგდიდის მთავრობამმეთქი, მაგრამ ეს ფსიქოზის ის შემთხვევა იყო, როდესაც კლინიკური მკურნალობაც შეიძლება უძლური გამოდგეს. სამწუხაროდ, ამგვარი ავადმყოფები ლტოლვილებშიც იყვნენ.

* * *

აბაშაში მეტი სითბო და ყურადღება გამოიჩინეს ლტოლვილებისადმი. უსახლკაროებს ვაგონები გამოუყვეს. სასადილოში ჩაი და პურიც იყო. მაგრამ აქედან ცხენისწყალზე გასვლა უფრო სანატრელი გახდა. ვინც მსუბუქად იყო, ფეხით დაადგა გზას. დარჩნენ ბავშვიანები და მოხუცები. ისინი სოხუმიდან მოდიოდნენ. სამი დღე ზუგდიდში გაათენეს, ახლა მცხეთაში მიდიან, ბინა გამოუყვიათ მათთვის.

ისევ ვესაუბრები ლტოლვილებს.

— მამა სოხუმში დარჩა. პარტიზანულად ომობს, — ტლიკინებს პატარა ნინიკო.

— რა გვარი ხარ?

— გირგვლიანი.

**მ. ჯგუბურია:** — ჭუბერში ზვიადისტები ამოვიდნენ ავტობუსებით. მოგვეფერნენ. ზუგდიდში მიგვიპატიჟეს, ყველანაირ ხელშეწყობას შეგვპირდნენ. მატარებლებიც თავისუფლად მოძრაობენო, — გვითხრეს. ორმოცამდე ლტოლვილი წამოგვიყვანეს. მერე ის ხალხი თვალით აღარ გვინახავს. მატარებელი კი არა, ტრაქტორიც არ ჩანს. ახლა ჯარისკაცებმა ჩამოგვიყვანეს სენაკამდე. იქიდან ფეხით მოვედით აბაშამდე. მე დაჭრილ შვილთან მიმეჩქარება. ქმარი მომიკლეს. ღმერთო, რა დავუშავეთ იმ ხალხს, რატომ მოგვატყუეს. ჭუბერიდან ქუთაისში გადაგვიყვანდნენ და მერე უფრო იოლი იქნებოდა მგზავრობა...



იმ დღეებმა ბევრი დაანახა ხალხს, ბევრს სიმართლეზე აეხილა თვალი. მათი პატრონი არავინ იყო, თავად უნდა ეშველათ საკუთარი თავისთვის. ვინ საით გაიფანტა, ბევრს გვარიანი თანხაც დაუჯდა ფრონტის ხაზზე გადასვლა. ამბობდნენ, 5 000 რუსულ მანეთს ითხოვდნენ ჯარისკაცები (იქითაც და აქეთაც) გადასვლაზე.

* * *

**მ. გერგედავა:** — ოჩამჩირის ალების შემდეგ აფხაზები ერთ საათში შემოვიდნენ გალის რაიონში. გარეუბანში ვცხოვრობთ და ვიფიქრეთ, ეგებ ჩვენამდე არ მოვიდნენო (გაქცევას მაინც ველარ ვასწრებდით).

შებინდებისას ექვსი შეიარაღებული კაცი მოგვადგა. რუსულად ლაპარაკობდნენ. ჩვენს მამაკაცებს მოუყარეს თავი. სახლის წინ საკუთარი სატვირთო მანქანა გვეყენა. კარგა ხნის გაჩერებული იყო. სათადარიგო ნაწილები აკლდა. 2 საათში მანქანას აწყობილს დაგვახვედრებთ, თუ არა სიცოცხლეს დაემშვიდობეთო, — დაიბარეს და წავიდნენ. ეს შეუძლებელი იყო, კაცები ტყეში გაიხიზნენ. იმ ღამეს არ მობრუნებულან. დილაუთენია გვესტუმრნენ. გავაგებინეთ, მამაკაცები სათადარიგო ნაწილების საშოვნელად წავიდნენ და საცაა გამოჩნდებიან-თქო. მგონი, არ დაიჯერეს. მერე დიასახლისებს დაგვიძახეს — ხუთი შემწვარი ქათამი, კამეჩის მაწონი, ხაჭაპურები შეგვიკვეთეს. სიცოცხლის გადარჩენის სურვილმა დაგვაფაცურა. ასე ვუმასპინძლდებოდით ორი დღე, მერე ქათმები რომ შემოგველია, აილრინეს. მივხვდით, ცოცხლებს არ დაგვტოვებდნენ და სასწრაფოდ გამოვიქეცით. მთელი ღამე ტყე-ტყე ვიარეთ, ღამის 3 საათზე ენგური გადმოვცურეთ და ასე ჩამოვაღწიეთ ზუგდიდამდე. დავტოვეთ წლობით ნალოლიავები სახლ-კარი...

პრეზიდენტყოფილი კი საჯაროდ აცხადებდა: გალს ხელს არავინახლებსო.

* * *

თითქოს გონებაც და თვალიც შეეჩვია ამ შემზარავ სურათებს, მაგრამ მათი დავიწყება წარმოუდგენელია და არც შეიძლება.

ისტორია თავის განაჩენს გამოიტანს.

**მაია მოსიძე**
შსს პრესცენტრის ინსპექტორი

საქართველოს ეროვნული

# შარის თქმა არ გაბედო!.. ✱✱✱✱✱✱✱✱✱



ლამარა ჭყონია შვილებთან ნატოსა და ეთერთან



ლამარა და მორისი შვილიშვილთან



ეთერ ჭყონია და იმერი კავსაძე ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში"

მრავალი ეპითეტი თქმულა ლამარა ჭყონიას შესამკობად, — ბრწყინვალე ხმის მფლობელი, ვოკალის ნამდვილი ოსტატი, არაჩვეულებრივი სოპრანო... ორმოც ოპერაში მთავარი პარტია აქვს ნამღერი, მრავალ საერთაშორისო კონკურსშია გამარჯვებული (სხვათაშორის, პირველი ქართველი მომღერალია, ვინც საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც), მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება... ერთი სიტყვით, სახელი და დიდება არ დაჰკლებია, მაგრამ მაინც მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო მისი ორი ქალიშვილია — ნატო და ეთერი, რომელთაც დედისაგან მემკვიდრეობით მშვენიერი ხმა, ნიჭიერება და... შეუპოვრობა ეწყალობათ.

— ალბათ შემთხვევითი არ არის, ჩემი ქალიშვილები კარგი მომღერლები რომ არიან. ეს გენეტიკური ჯილდოა ჩვენი, ჩვენი წინაპრებიდან მომდინარე... ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, ცამეტი გარმონი მაქვს გაცვეთილიო, ისე ჰყვარებია თურმე ცხონებულს დაკვრა და სიმღერა. დედაჩემისა და დეიდაჩემის სიმღერა ხომ მთელ ქიზიყში იყო განთქმული. თამარ ლაპიაშვილიც მაგათთან ერთად მღეროდა; ძეობა და ქორწილი უმაგათოდ არ ჩაივლიდა თურმე. ერთხელაც იყო და სიღნაღს სპეციალური კომისია ეწვია, ნიჭიერ მომღერლებს ეძებდნენ — მაშინ კადრები ძალიან უჭირდა ოპერას. მოეწონათ თურმე დედა და თამარი, მაგრამ ბებიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — არ გაუშვა დედა თბილისში. ბოლომდე ემდუროდა ამაზე დედა ბებიას; მთელ იმედებს მერე ჩემზე ამყარებდა. საოცარი რამ არის ცხოვრება, ისტორია ხშირად მეორდება ხოლმე — ასეთივე კომისია ეწვია ბათუმს ჩემი მოწაფეობისას. მომიწონეს და თბილისში წამომიყვანეს. ნიჭიერთა ათწლედში გავაგრძელე სწავლა, მერე კონსერვატორიაში... წარმოიდგინეთ დედაჩემის სიხარული — ჩემით მოითქვა სული...

მამაც იშვიათი ხმით იყო დაჯილდოებული. გაგიჟებით უყვარდა ოპერა. მრავალი არია იცოდა ზეპირად. მისი მამა-ბიძებიც, თითქმის ყველანი, კარგად მღეროდნენ. სხვათა შორის, სიმღერის წყალობით მოხდა ჩემი მშობლების შეუღლება. მოუსმინა თურმე მამამ დედას სიმღერას, მაშინვე შეუყვარდა, დაავლო ხელი და წამოიყვანა ბათუმში. ზღაპარივით არის, ხომ?! თანაც წარმოიდგინეთ, — მამა ღარიბი გურული კაცი, აქტივისტი-კომკავშირელი, ღმერთმა უწყის, როგორ მოხვედრილი კახეთში, დედა მდიდარი ოჯახიშვილი... მამა მათთან განსაკუთრებლად მიუგზავნიათ. ეტყობა, დიდად არ ეჭაშნიკებოდა ეს საქმე, პურ-მარილზე უარი არ უთქვამს... მერე დედასაც უმღერია და...

გაჭირვებაში კი ვცხოვრობდით ძალიან. ერთი პატარა ფიცრული გვედგა. მამას იმ ხანად მთავრობა სდევნიდა, აჭარელი ტყისმცველები მალავდნენ. ღამ-ღამობით გვესტუმრებოდა ხოლმე. მახსოვს, როგორ ფრთხილად მალვიძებდა 6 წლის გოგოს. მაღვიძებდა და... ჯილდას არიას მასწავლიდა. ხომ მართლა ზღაპარივითაა? მადლი იყო, იმ კომისიამ რომ მომიწონა, თორემ სიმღერის გარეშე რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება...

დავამთავრე კონსერვატორია და საოპერო თეატრში მაშინვე მიმიღეს. თითქოს არაუშავდა რა, კარგად დაიწყო: — პატარა გამარჯვებები, პატარა სიხარულები... მაგრამ ერთხელაც მატკინეს გული და.. დავწერე განცხადება ჩემი გათავისუფლების შესახებ; მერე იძულებული ვიყავი, კიევში წავსულიყავი. რატომ კიევში? — მაშინ კიევის საოპერო თეატრი ბალეტის მოცეკვავე მამაკაცებს ეძებდა. მორისი (მორის ლეკიშვილი, ლამარა ჭყონიას მეუღლე) ბალერინი გახლდათ და აი, ამან გადაგვაწყვეტინა. ნატო დედაჩემს დავუტოვეთ (ეთერი კიევში შეგვეძინა) და გავემგზავრეთ. მორისი მაშინვე მიიღეს, აი, მე კი... არა, ეს ამბავი უნდა მოგიყვეთ, როგორ მიმიღეს კიევში. დირექტორმა მაშინვე უარი მითხრა, მომღერლები არ გვჭირდებაო, მერე მოსკოვში გაემგზავრა. მე და მორისი კი ერთ მოხუცთან სარდაფში ვიყავით შეკედლებული. მაინც ჯიუტად დაველოდე. როდის-როდის ჩამოვიდა. მთელი დღე მის მოსაცდელში ვიჯექი, აღელვებისაგან ტირილი წამსკდა. ძლივს შემიშვეს. — ოხ, ეს მტირალა ქართველებიო, — მწყრალად მითხრა გონტარმა, — წამოდი, შეგამოწმებო. დარბაზში შევედით. რეპეტიციაა. ახლა წარმოიდგინეთ: ფარდა გახსნილია, გუნდი მზად არის, ორკესტრიც, სცენაზე ცნობილი მომღერალი დგას, და ამ დროს... გამოაგორეს შავი როიალი. დირიჟორი, ზემიონოვი იყო, გაოგნდა, — რა ხდებაო... მეც ამ როიალს მივყევი და დავდექი სცენაზე. რა ვიმღერო, რა ვიმღერო... მოდი გრძელ ნაწარმოებს შევარჩევ, მეტს ვიდა მამღერებს-მეთქი. ბელინის ნორმას არია დავიწყე, ათი წუთი მიდის. მოვრჩი და სიჩუმე... ლამის გული გამისკდა... ვაპირებ გასვლას და დარბაზის სიღრმიდან მორბის გონტარი: — იმღერე, კიდევ იმღერე! ვიმღერე ჩიო-ჩიოსანი. ატყდა ტაში და რა ტაში! მერე ქართული ნაწარმოებებიც მივაყოლე. ერთი სიტყვით, კონცერტი გავმართე. მე თქვენ გილებთო, — დარბაზიდანვე მიყვირა გონტარმა. სხვათაშორის, მისთვის ესაყვედურათ, ქართველი რატომ მიიღეთო, ნიჭიერია და იმიტომო, — უპასუხნია. ნიჭიერი აქაც ბევრიაო. დამიბარა გონტარმა და მეუბნება, — ლამარა, დღედალამ უნდა იმუშაო, ლაურეატობა რომ მიიღო, ეს ხალხი როგორმე უნდა გავაჩეროთო. მე ხომ ლაურეატი უკვე ვარ-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიბრაზდა, აქამდე რატომ არ მითხარიო. რა ვიცი, მე ჩემი ჭკუით ამ ლაურეატობას არაფრად ვაგდებდი, პრაღის საერთაშორისო ფესტივალზე მეხუთე ადგილი მქონდა მიღებული და ეს მეხუთე ადგილი ძალიან არ მომწონდა. ასე და ამგვარად, გავხდი კიევის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩემს სპექტაკლებზე ყოველთვის უამრავი ხალხი იყო... მომანიჭეს დამსახურებული არტისტის წოდება, სახალხოზე ვიყავი წარდგენილი და თბილისიდანაც მივიღეთ მიწვევა. რაღა გაგვაჩერებდა...

საკუთარ ამბებს გიყვებით და... თქვენ უფრო ეთერის გამო მოხვედით არა? თანაც ნატოზეც ხომ უნდა მოგიყვეთ...

არ დაგიმალავთ, ძალიან მეამაყება ჩემი შვილების წარმატებები, მაგრამ ამის მისაღწევად კარგა გვარიანი ბრძოლა დამჭირდა. სიმღერას ორივეს ბავშვობიდანვე ვაჩვევდი, რა თქმა უნდა, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, ჩემი სჯეროდათ, მერე, როცა წამოიზარდნენ, როგორც ხდება — შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო, ჩემმა შვილებმა თავიანთი პედაგოგებისა უფრო ირწმუნეს. ნატომ კონსერვატორია საფორტეპიანო განხრით დაამთავრა, პარალელურად ვოკალურზეც სწავლობდა. ერთხელაც, როცა გასტროლებიდან დავბრუნდი და მოვუსმინე ნატოს, მაშინ III კურსზე იყო, შევწუხდი, გოგოს ჰქონდა დაბალი ხმა და მაღალ რეგისტრში ამღერებდნენ. ვუთხარი, — შვილო, ყველაფერს დავანებებ თავს, არაფერი მინდა, გადმოდი ჩემს კლასში (მაშინ პროფესორი არ ვიყავი, პედაგოგად ვმუშაობდი კონსერვატორიაში), შენ მეცო-სოპრანო ხარ, სოპრანოს რატომ გამღერებენ-მეთქი. რა მიპასუხა იცით? — მე ხომ საცდელი კურდღელი არა ვარო. რა თქმა უნდა, ვერც ერთ კონკურსში ვერ გაიმარჯვა. რა გზა არ ვიხმარე, რომ დაეჯერებინა, ვერაფერს გავხდი. ისე კი, ხუთებს იღებდა, მაგრამ რა... ერთხელაც, გლინკას სახელობის კონკურსი ტარდება, დახმარება მთხოვა — ჩხირი კედელს. პამინას არია ისურვა. ეს სოპრანოა. ისურვა, ისურვა, კარგი! მეორეს მე შეგირჩევ-მეთქი. შევურჩიე გავრილინის რომანსი მეცო-სოპრანოსათვის. ვერ მიხვდა ჩემს ეშმაკობას. ასეც ვიცოდი, მეორე ტურში ვერ გავიდა, სოპრანომ პირდაპირ დასვა, ხოლო რომანსმა ფურორი მოახდინა. არ გაუშვეს მეორე ტურში, მაგრამ სამაგიეროდ მასთან მივიდა ზაირა დოლუხანოვა (ცნობილი მეცო-სოპრანო) და უთხრა: თქვენ დიდებული მომღერალი ხართ, მაგრამ რეპერტუარი სწორად არა გაქვთ შერჩეული. მეცო ხართ და რატომ მღერით სოპრანოს? — დედა სულ ამას მეუბნებაო, — გამოტყდა ნატო. — ჰოდა, დაუჯერე დედას! — უთქვამს იმ ჩემს გამხარებელს.

ჩამოვიდა ნატო სულ სხვანაირი. ეთერიც მიხვდა, რომ წააგო მისმა დამ. მის მერე სულ თვალებში შემომციცინებენ.

ნატოს ერთ წელიწადში უკვე წარმატებები ჰქონდა. მეორე წელიწადს ესპანეთში პამპლონას საერთაშორისო ფესტივალზე უკვე ლაურეატი გახდა. იქ ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ნატო ავსტრიაში მიიწვია. ის მიწვევა იცით როდის მივიღეთ? — 1991 წლის დეკემბერში. როგორ გინდა წახვიდე... მაინც დავუჟინე ნატოს: — შენ ასეთი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვა-მეთქი. შენ დედა ხარო? — გამიბრაზდა სიძე, — ამ დროს როგორ უშვებო! ნატომ მე დამიჯერა, რა თქმა უნდა, მაინც წავიდა, მოახერხა და წავიდა.

ნატოს როგორც კი მოუსმინეს, მაშინვე დატოვეს... დაჰკავეს შემღებისდაგვარად: ერთი თვე პრაღის საოპერო თეატრში როსინის „ალშარაში" იტალიელ ქალს მღეროდა; მერე ავსტრიაში — გრაცის საოპერო თეატრში, სეზონის გახსნისას; პარალელურად ბადენში... სულ 16 სპექტაკლში მღეროდა და ყოველთვის გადაჭედილი დარბაზები ხვდებოდა, ძალიან პოპულარული გახდა ნატო. გრაცის საოპერო თეატრთან კონტრაქტი აქვს დადებული. სისტემატურად მღერის ვენის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. ჩემი სიძეცა და შვილიშვილიც იქ არიან. სიძე პედაგოგად მუშაობს გრაცის კონსერვატორიაში, ბიჭი სკოლაში სწავლობს. მათი დარდი აღარა მაქვს. აი, ეთერის ქალიშვილს კი ენატრება მისი დედიკო. რა ქნას, უნდა მოითმინოს, თუ უნდა რომ სახელოვანი დედა ჰყავდეს.

ეთერს თავიდანვე პროფესიონალად ვზრდიდი. კონსერვატორიაში სწავლისას ჩემს კლასში იყო. მეოთხე კურსამდე არ ჩანდა — მოასწრო გათხოვებაც, მეუღლესთან გაცილებაც, შვილიც... მეოთხე კურსის ბოლოს უკვე გამოჩნდა. ვიქტორ დოლიძის სახელობის საკავშირო კონკურსზე პირველი პრემია მოიპოვა. მერე წავიდა და წავიდა გამარჯვებები. მაინც ამ ბოლო ორ წელიწადში შვიდგზის ლაურეატი გახდა, ამაზე იტყვიან, „მოვედი, ვნახე და გავიმარჯვეო", შარშან ბარსელონაში, საერთაშორისო კონკურსზე მე-3 ადგილი მიიღო. მიიწვიეს ბილბაოს არიაგას თეატრში, პარალელურად პამპლონაში მღეროდა... ახლა დიდი წარმატებები აქვს. აი, მის ბოლო გამარჯვებებზე მოგიყვებით. ახლახან, ოქტომბრის დასაწყისში ბელგიაში ჩატარდა ვოკალისტთა საერთაშორისო ფესტივალი. ეთერმა პირველი ადგილი, ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება მოიპოვა. ჟიურის თავმჯდომარე ვენის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი როსიუსი გახლდათ. როსიუსმა ეთერი პამინას როლზე მიიწვია, მოცარტის „ჯადოსნურ ფლეიტაში". ამ კონკურსიდან ორი კვირის მერე ლისაბონში, ლუის დოლის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე კვლავ პირველი ადგილი აიღო, ამასთანავე, ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება, აგრეთვე ტელევიზიის სპეციალური პრიზიც მიანიჭეს. ძალიან რთული კონკურსი იყო, იგი სამ ტურად ჩატარდა, მასში მამაკაცები და ქალები ერთად მონაწილეობდნენ, სულ ასი უძლიერესი მომღერალი სხვადასხვა ქვეყნიდან. პროგრამაში 15 ნაწარმოები იყო, აქედან 10 — საოპერო არია.

ეთერს ბევრი მიწვევა აქვს — ირლანდიის საოპერო თეატრში, ლონდონის საკონცერტო დარბაზში, ვენის, ლისაბონის საოპერო თეატრებში...

ჩემი არ იყოს, მასაც ჯიუტი ხასიათი აქვს. რასაც ჩაიფიქრებს, მოკვდება და შეასრულებს. აი, კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით და თქვენ თვითონ განსაჯეთ. არიაგას თეატრის დასი ნავარაში მიდიოდა „კარმენის" დასადგმელად. მიქაელას პარტია თუ გიმღერიათო? — შეეკითხნენ ეთერს. ეთერიმ, — „შენგან მახსოვდა, მხოლოდ ერთი არიააო, და ამ არიას, თავს მოვიკლავ, როგორ ვერ ვისწავლი-მეთქი, მოვიტყუე... მაგრამ კლავირი რომ გავშალე, გული გამისკდა, ისეთი რთული პარტია იყო: არადა, ორი დღის შემდეგ რეპეტიცია იყო დანიშნული"... რაღას იზამდა, ხომ ვერ იტყოდა, მოგატყუეთო... რაღაცა ხომ უნდა ელონა. ბინაში ეთერთან ერთად ელისო ასათიანი ცხოვრობს, მადრიდის კონსერვატორიის ასპირანტია, ელისომ ფრანგული იცოდა. ის ეჩიჩინებოდა ფრანგულ ტექსტს და თან უკრავდა. დღე-ღამეში ორი საათი გვეძინაო. წავიდა რეპეტიციაზე ეთერი და წაიყვანა ელისოც. მხოლოდ ორჯერ შეეშალა. გენერალურ რეპეტიციაზე საერთოდ უშეცდომოდ გავიდა და... რა თქმა უნდა ნავარაში წავიდა.

მუზეტას პარტია აქ შეისწავლა. იქ ხომ ძალიან ძვირი ღირს მომზადება. მე და ნადია სალაყაია ვამეცადინებდით. სულ ორ კვირაში მოასწრო. გაგიჟდა ნადია, ასე ჩქარა, ეს როგორო... ორი კვირა რა სალაპარაკოა... ვტრაბახობ, არა? მაგრამ ამას იცით, რატომ გიყვებით? — რომ ადამიანის მიზანდასახულობასა და შეუპოვრობას გავუსვა ხაზი. მიზანს აუცილებლად მიაღწევ, თუ კი ძალიან მოინდომებ. ამ სიტყვებით ჩემი თავის გამხნევებაც მინდა. ახლა რატომ, — შარშან, ეთერიმ მადრიდში რომ გაიმარჯვა, დამირეკა და მეუბნება, — „დედა, აქ ყველა იმას მეკითხება, ვინ იყო შენი პედაგოგიო. კონსერვატორიის ვოკალური კათედრის ხელმძღვანელი დაინტერესდა შენით, თუ ინგლისური იცის, პედაგოგად მოვიწვევო. დედა, ისწავლე რა ინგლისური" — გიჟივით გამეცინა, — ხომ არ გადაირიე-მეთქი. აი, ამასწინათაც მირეკავს და... ახლა თურმე ლისაბონის კონსერვატორიის რექტორი მეპატიჟება პედაგოგად. ეთერი მეხვეწება: — „დედა, უარის თქმა არ გაბედო, მე უკვე ვთქვი, რომ შენ სალაპარაკო ინგლისური იცი... მოასწარი ამ სამ თვეში და როგორმე ისწავლე". როგორია? — სამ თვეში ამ ხნის ქალმა ინგლისური ვისწავლო, გადაირია ჩემი შვილი...

... და მაინც, ქალბატონი ლამარა ინგლისურს სწავლობს...

მანანა ჭარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქოლოგიური სამსახური ოჯახისათვის

# პრობლემები გაწუხებთ?

ქართველ კაცს ნევროპათოლოგის, ფსიქიატრის თუ ფსიქოლოგის სახელს რომ უხსენებენ, პირად შეურაცხყოფად იღებს. აქაოდა, ვინმეს გიჟი ხომ არ ვგონივარო. არადა, ამას წინათ პრესაში მორცხვად გამოჟონა ცნობამ, რომ თურმე საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ნევროზის სხვადასხვა ფორმით არის შეპყრობილი (დაავადებულს შეგნებულად არ ვამბობ). რაც, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ისინი უიმედონი არიან. ფსიქოლოგიური თერაპიის რამდენიმე სეანსს შეუძლია კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანოს ადამიანი.

და თუ თქვენ რაღაც გაკავებთ, რათა ფსიქოლოგს მიმართოთ, თუნდაც უტრანსპორტობის გამო ვერ ახერხებთ მასთან მისვლას, ყურადღებით მოგვისმინეთ!



1993 წლის 24 მაისს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ამუშავდა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ტელეფონი. ფსიქოლოგიური დახმარების ეს ფორმა ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

თქვენც სცადეთ. გამოცდილ ფსიქოლოგებთან საუბარი ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე მიგიყვანთ. სახლიდან გაუსვლელად შეგიძლიათ მიიღოთ საჭირო კონსულტაციები თქვენთვის საჭირბოროტო ნებისმიერ საკითხზე. თანაც, თქვენი ვინაობა და საიდუმლო საიდუმლოდვე დარჩება.

თბილისში ფსიქოლოგიური კონსულტაციის ტელეფონის ამოქმედების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ტელეფონმა 982-ჯერ დარეკა. მაგრამ მხოლოდ 600-მა აბონენტმა გაბედა ფსიქოლოგთან დალაპარაკება. მათგან 323 ქალი იყო, 277 — მამაკაცი. როგორც ხედავთ, განსხვავება არც თუ ისე დიდია. ქალები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უფრო გაბედულები აღმოჩნდნენ, თუმცა პირველი, ვინც დარეკა, მამაკაცი იყო. რეკავენ ბავშვები, 80 წელს გადაცილებული მოხუცებიც კი.

პრობლემები უამრავი და დამაფიქრებელია. ჯერ მანდილოსნებს მოვუსმინოთ.

— მეტი აღარ შემიძლია. ცოტაც და მარტო დავიწყებ ლაპარაკს. სიცოცხლე აღარ მინდა. სამსახურში თუ დამელაპარაკება ვინმე, მივალ სახლში და... თავის დროზე მთხოვნელები არ მაკლდა, მაგრამ გაუთხოვარი დავრჩი. ჩემი მოსაწონი არავინ აღმოჩნდა. ზოგს რა დავუწუნე, ზოგს — რა.

საზღვარგარეთ ბევრი ქორწინების გარეშეც აჩენს შვილს, მაგრამ ჩვენთან ეს ისეთ სირცხვილად ითვლება, რომ ქალს სიკვდილს მოანატრებენ. მეც ვერ გავბედე. ახლა ყველაფერი გვიანაა ჩემთვის.

... სიტყვები, რა თქმა უნდა, პირობითია, მაგრამ პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველა გაუთხოვარ მანდილოსანს აწუხებს. დიდი ბედნიერებაა, თუ ქალი დროულად, თანაც სიყვარულით გათხოვდა და შვილებიც კანონიერ ქორწინებაში გააჩინა. მაგრამ რა ჰქნას ქალმა, რომელსაც ცხოვრებაში არ გაუმართლა, ვერ გათხოვდა, ვთქვათ, ფიზიკური ნაკლის ან სხვა მიზეზის გამო?

კითხვები მრავლად დაგროვდა და პასუხის გაცემა ვთხოვეთ ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს მაკა ხარშილაძეს.

— შინაბერა ქალის გარკვეული ტიპია. რამდენი შინაბერაც არის, გაუთხოვრობის მიზეზიც იმდენია. ხშირია, როდესაც ქალი ავადმყოფი ან ხანდაზმული მშობლების მოვლას სწირავს პირად ბედნიერებას, ან ახალგაზრდობის წლები ადრე დაობლებული ძმისშვილებისა თუ დისშვილების გაზრდაში ილევა. ხშირია ე. წ. მეოცნებე ქალებიც, რომლებსაც თავისებური, შეიძლება ითქვას, რომანტიკული წარმოდგენა აქვთ ქორწინებაზე. მათი საბედოს ხატი ძალზე დაშორებულია რეალობისაგან. ისინი ზღაპრულ უფლისწულს ელიან. ასეთ ქალებს ხშირად „წუნიებსაც" ეძახიან. ბუნებით კონსერვატორები არიან, უჭირთ ცხოვრების წესის შეცვლა, სანამ ახალგაზრდები არიან, იმ პრობლემებს მთელი სიმწვავით ვერ გრძნობენ, რაც მარტოობას ახლავს თან, მაგრამ გადის დრო და ქალი დილემის წინაშე დგება: ან მარტო უნდა დარჩეს, ან ქორწინების გარეშე გააჩინოს შვილი.

**— არსებობს ხსნის კიდევ ერთი გზა — ბავშვი იშვილოს.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ აქ ერთი ფსიქოლოგიური დეტალი ფიგურირებს. შვილის აყვანაზე ძირითადად ფიქრობს გათხოვილი ქალი, რომელიც საკუთარი თუ მეუღლის უნაყოფობის გამო იძულებულია იშვილოს სხვისი შვილი. ქალს დედობის რეფლექსი მძაფრად აქვს განვითარებული. ის დედობისათვის არის გაჩენილი. ეს ბედნიერება ღვთისაგან აქვს მინიჭებული და არ სურს მასზე უარის თქმა. ქალს უნდა ნაყოფი ცხრა თვე მუცლით ატაროს, შემდეგ წვალებითა და ტკივილებით გააჩინოს. ეს სავსებით ბუნებრივი და ადამიანური მოთხოვნილებაა. მაგრამ სანამ ქალი გადაწყვეტდეს — გააჩინოს თუ არა შვილი ქორწინების გარეშე — უნდა განსაზღვროს, შეძლებს თუ არა მთელი პასუხისმგებლობისა და სიმძიმის საკუთარ თავზე აღებას. გაუძლებს თუ არა საზოგადოებრივი აზრის შემოტევას.

საქართველოში ხომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ „რას იტყვის ხალხი". დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოსაც, სადაც ეს ქალი ცხოვრობს, მუშაობს. მაგრამ თუ მას ოჯახი ამოუდგება მხარში, ჩემი აზრით, პრობლემა მოიხსნება. მშობლების მხარდაჭერა უდიდესი ძალაა.

**— რაც ძნელი წარმოსადგენია საქართველოში...**

— პირადად ჩემთვის გამოთქმა „უკანონო შვილი“ მიუღებელი და გაუმართლებელია. ვფიქრობ, დროა, საზოგადოებამ სწორი შეფასება მისცეს იმ ქალების ცხოვრებას, რომლებსაც ისედაც მძიმე ხვედრი ერგოთ — მარტო ზარდონ შვილები.

როცა ქალი ქორწინების გარეშე გადაწყვეტს შვილის გაჩენას, მას შემდეგ პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს იმ მამაკაცთან, რომელმაც ზოგჯერ არც კი იცის ქალის განზრახვის შესახებ. ხშირ შემთხვევაში მათ უბრალოდ დონორებად იყენებენ.

* * *

## სატელეფონო საუბრიდან

**— ერთი ბიჭი მყავს. კუდში დავდევდი. მეშინოდა, ცუდს არ გადაყროდა. როდის და სად დავუშვი შეცდომა, ახლაც ვერ ვხვდები. ყველაფერზე ღიზიანდებოდა, უმიზეზოდ მენხუბებოდა. ვიფიქრე, შეყვარებულია-მეთქი. სახლში ნივთები რომ დაიკარგა, მაშინ მივხვდი, უბედურება რომ იყო ჩემს თავს. მერე გავიგე, სახლიდან წაღებულ ძვირფასეულობას ნარკოტიკებში ცვლიდა თურმე...**

**— შვილის ყოველი მრუდე ნაბიჯი მშობლების მიერ დაშვებული შეცდომის შედეგია, რომლის დროულად თავიდან აშორება შესაძლებელია, გამოსწორება კი — ძნელი.**

— შვილის ნარკომანობა მშობლისთვის უდიდესი ტრაგედიაა. ვფიქრობ, ეს უბედურება, ისევე როგორც ბევრი სხვა, სიყვარულის დეფიციტიდან მომდინარეობს. არასწორი აღზრდის შედეგად მოზარდს სიცარიელე, სასოწარკვეთილება, უიმედობა ეუფლება და ხსნას ნარკოტიკებში ან სასმელში პოულობს.

**— ზოგიერთი მშობელი თავად აძლევს შვილს ფულს წამლისათვის...**

— ამის ახსნაც შესაძლებელია. მშობელს ურჩევნია შვილს ფული მისცეს, რადგან იცის, რომ შვილი ნებისმიერი გზით ეცდება ნარკოტიკის შესაძენად ფულის შოვნას. ზოგი მშობელი ცდილობს დააოჯახოს შვილი, რადგან ფიქრობს, რომ ცოლ-შვილი მოაბრუნებს ცხოვრებისაკენ, მაგრამ ამით სხვის შვილსაც უწამლავს ცხოვრებას. მართალია, ყოფილა შემთხვევები, როცა ვაჟი სიყვარულის გამო უარს ამბობს ნარკოტიკებზე, მაგრამ ასეთი ბედნიერი შემთხვევები თითებზე ჩამოსათვლელია.

მზა რეცეპტები, თუ როგორ მოიქცეს მშობელი, როცა გაიგებს შვილი ნარკომანია, არ არსებობს, რადგან თითოეულ ადამიანთან თავისებური, ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. პირველი, რაც ახლობლებმა უნდა გააკეთონ, დაარწმუნონ ახალგაზრდა მიმართოს სპეციალისტს. როცა წრე შეიკვრება (იგულისხმება ოჯახი, ნარკომანი, ექიმი), მაშინ სასიკეთო შედეგსაც უნდა ველოდეთ.

* * *

## სატელეფონო საუბრიდან

**— სულ ერთი თვეა, რაც გავიცანი. ძალიან მომწონს. ისიც მეუბნება მომწონხარო, მაგრამ მთელი ერთი კვირაა, არ დაურეკავს. აღარ ვიცი, რა ვქნა. რომ დავურეკო, არ მინდა ჩემზე იფიქროს, თავმოყვარეობა არა აქვსო. არადა, ძალიან მენატრება მისი ხმის გაგონება. თქვენ რას მირჩევთ?**

**— დავრეკო თუ არ დავრეკო-ს პრობლემა გოგონების (ასაკი დაახლოებით 10-დან 16 წლამდე) უმეტესობას აწუხებს. ღამეები არ სძინავთ, დღისით ადგილს ვერ პოულობენ. ვერ გადაუწყვეტიათ, დაურეკონ თუ არა ბიჭს, რომელსაც ხეირიანად არც კი იცნობენ.**

— „დავრეკო-არ დავრეკო“ მოზარდების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ეს სიყვარულის მოთხოვნილებაა. ამ ასაკში იწყებენ ოცნებას ამაღლებულ წმინდა სიყვარულზე. მე-20 საუკუნემ მოიტანა ტელეფონით ურთიერთობის ფორმა. სხვათა შორის, როცა გოგონა ან ვაჟი ფიქრობს — დავრეკო თუ არ დავრეკოო — ეს სხვაგვარადაც შეიძლება გავშიფროთ: ვუთხრა თუ არა მას (ჩემს რჩეულს), რომ მიყვარს. ალბათ გსმენიათ, როცა ამბობენ, მისი სუნთქვა მესმოდა და ამითი ბედნიერი ვიყავიო. მოზარდების უმეტესობა მალავს თავის სიყვარულს, ეს ასაკი საკუთარი განცდების შემეცნების პერიოდია. ამ ასაკში მოზარდები ხშირად სხვისი სახელითაც ეუბნებიან თავიანთ სათქმელს საყვარელ ვაჟს თუ გოგონას. გახსოვთ, ზურიკელა მურადას პირით რომ უხსნის მერის სიყვარულს. ამაზე გვეღიმება, მაგრამ ყოველთვის კარგად როდი მთავრდება ჩვეულებრივი სასიყვარულო ფლირტი, მოზარდებს რომ ნამდვილი სიყვარული ჰგონიათ. რატომ არის, რომ ამბობენ პირველი სიყვარული ყოველთვის მარცხით მთავრდებაო, აკი ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული ყოველგვარ დაბრკოლებას და გამოცდას უძლებს?

თორმეტ-თოთხმეტი წლის მოზარდებს ცოტა რამ თუ გაეგებათ სიყვარულისა.

**— თანაც, თითქმის არაფერი იციან ცოლისა და ქმრის მოვალეობების შესახებ, ისინი სიყვარულსა და ოჯახს ერთმანეთს ვერ უთავსებენ, თუმცა ოჯახის შექმნისაკენ მიილტვიან.**

— უფრო სწორად, ეს ლტოლვა მდედრობითი და მამრობითი სქესის ერთმანეთისადმი ლტოლვად უნდა ჩაითვალოს, რაც უკეთეს შემთხვევაში ქორწინებით მთავრდება. მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული ხშირად თაფლობის თვეშივე კვდება.

არ შეიძლება მე-20 საუკუნის ბოლოს ისევ ძველი, კონსერვატული ტრადიციებით ვზარდოთ შვილები. მივცეთ მათ მეტი თავისუფლება. როცა გოგონა ვაჟს ურეკავს, მას უამრავი შინაგანი ბარიერის გადალახვა უწევს. მშობლები ჩასჩიჩინებენ, რომ არ შეიძლება ქალიშვილმა ბიჭს დაურეკოს, ეს სირცხვილია, მიუღებელია. მან თავი უნდა დაიფასოს. გოგონა, რომელიც ვერ ხვდება, რატომ არის სირცხვილი ამხანაგ ვაჟს დაურეკოს, ჩუმად, ქურდულად მაინც რეკავს.

**— ვაჟის ოჯახშიც მსგავსი მდგომარეობაა. როცა გოგონა ვაჟს ურეკავს, ბიჭის დედა აღშფოთებას ვერ მალავს. რადგან მან „იცის“, რომ ნორმალური, წესიერი გოგო ბიჭს არ დაურეკავს და შვილს კატეგორიულად უკრძალავს „იმ“ გოგოსთან შეხვედრას კი არა, ლაპარაკსაც კი.**

— რაც უფრო მეტია ზეწოლა, მით უფრო დიდია წინააღმდეგობა. ხელს ნუ შეუშლით, დაურეკონ, შეხვდნენ, კარგად გაიცნონ ერთმანეთი. ისინი ჩვენზე უკეთ დაინახავენ მეგობარი გოგონას თუ ვაჟის ნაკლსა და ღირსებას. მშობლის ჩარევა აუცილებელია, ოღონდ ზომიერად და ლაზათიანად. შვილები ანგარიშს გაუწევენ მშობლის რჩევას, თუ მასში მეგობარს და გულშემატკივარს შეიცნობენ.

ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში კვლავ გვექნება საუბარი ფსიქოლოგთან იმ პრობლემებზე, რაც მეტ-ნაკლებად აწუხებს და აინტერესებს ყველა ქალს, და არა მხოლოდ ქალებს. მანამდე კი...

თუ თქვენ პრობლემები დაგიგროვდათ, წინააღმდეგობები გაქვთ საკუთარ თავთან, ურთიერთობები გაგირთულდათ ოჯახთან და საზოგადოებასთან, დარეკეთ ფსიქოლოგიური კონსულტაციის ტელეფონზე, რომლის ნომერია: 93-21-20.

**მარინე ნაკაიძე**

# ზარი! ნარკომანია



**ყველაზე ახალგაზრდა 20 წლისაა, ყველაზე ასაკოვანი — 47 წლის. წავიდა, გაქრა ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. მათი ბრალდების ისტორია ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს: „უკანონოდ დაამზადა და რეალიზაციის მიზნით ჩამოიტანა ნარკოტიკული ნივთიერება“.**

ვიდევ შეათვალიერა თავი სარკეში და ახლა უფრო დაუშნოებული და ცასქელებული მოეჩვენა. ქმარი კი ყოველდღე ლამაზდებოდა. უცებ გაახსენდა მეგობრის ნათქვამი: სამჯერ გაიკეთებ ნარკოტიკს და გახდებიო...

ყველა ქალი ფიქრობს იყოს მიმზიდველი ნებისმიერ ასაკში, მით უფრო ახალგაზრდა ლამაზი ქალი და ლამაზი ქმრის პატრონი, მაგრამ ზოგი გონივრულად, ზოგი უგუნურად იქცევა!

— პირველად ორჯონიკიძეში, ახლობლის სახლში გავიკეთე. მერე მეორედ და მესამედ და ვაი, რომ თანდათან მოთხოვნილებად გადამექცა.

— ორი შვილის დედამ, ნუთუ სხვა გზა ვერ გამონახეთ გარეგნობაზე ზრუნვისათვის?

— ამას ახლა ვფიქრობ. მაშინ კი სურვილთან ერთად ინტერესიც მაწვალებდა — გამესინჯა ნარკოტიკი. ხშირად ადამიანს ცოტა ყოფნის სისულელის ჩასადენად.

— დანაშაულის სიმძიმე თუ გაწუხებთ?

— მე ამას დანაშაულად არ ვთვლი. სხვისთვის არაფერი დამიშავებია. დავუშავე მხოლოდ საკუთარ თავს და ოჯახს.

— განა ეს ცოტაა? თქვენ ხომ საკუთარ თავთან ერთად ყველაზე საყვარელი ადამიანები გასწირეთ, რომლებსაც საზოგადოებაში თავი აღარ გამოეყოფათ თქვენი საქციელის გამო. საქართველოში ხომ მოუნელებელი სირცხვილი და დარდია — დედა ან ცოლი ნარკომანი გყავდეს. თქვენის აზრით, იმსახურებთ თუ არა შენდობას?

— მე აქ დავიღუპები. იცით, რას ნიშნავს ქალისთვის ციხე, თან ამ პირობებში? — ცრემლი მოერია და ხმა დაკარგა.



## უმძიმეს სიტუაციას, ჩვენს რესპუბლიკაში რომ შეიქმნა ნარკომანიის მხრივ, შველა უნდა. ქალებო! გადაარჩინეთ თავი და შვილები!



— გიყვართ თქვენი თავი?

— მეზიზღება. ყველა ავაწიოკე, დავასნეულე, დავამახინჯე.

— რაზე ფიქრობთ თქვენს თავთან მარტო დარჩენილი?

— შურისძიებაზე. პოლიციას არაფერს ვერჩი. ჩემი ჩამშვები მყავს მხედველობაში, რომელმაც ნარკოტიკებით ვაჭრობაც დამწამა.

— იქნებ ის მეგობარი, ნარკოტიკების მიღება რომ გირჩიათ...

მწარედ ჩაეცინა.

ამ ქალთან ჯერ კიდევ დიდი მუშაობა იყო საჭირო, რომ მას დანაშაული თავის თავში ეძებნა და არა სხვაში, თუნდაც „ჩამშვებში“. გამოსწორება ხომ მაშინ იწყება, როცა საკუთარ თავს დაადანაშაულებ, სინანული შეგიპყრობს და მონანიების სურვილი გიჩნდება.

* * *

ჩემს წინ 20 წლის გოგონა ზის. დიდრონი შავი თვალები მოუპყრია ჩემსკენ და ელოდება, იქნებ სანუგეშო ვუთხრა რამე. რას იზამ, ისიც ადამიანია. ალბათ, ცხოვრება იოლი არ ჰქონია. იგი ნასამართლევია ნარკომანიისა და ქურდობისათვის. მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბებიას და მამიდას გაუზრდია. 14 წლისა რუსთავში ჩასულა დედასთან. იქ ნარკომანთა გარემოცვაში მოხვედრილა.

— 17 წლისაც არ ვიყავი, პირველად რომ გავიკეთე. საერთოდ ასეა, ყველაფერი პირველი ჭირს, მერე კი...

— პირველად რაზე დაგიჭირეს?

— გამზრდელ მამიდას ხელჩანთა მოვპარე, ფული მჭირდებოდა წამლის შესაძენად.

— არ გეშინოდა?

— არ მეგონა მამიდა პოლიციაში თუ დარეკავდა.

# დედებსაც გვართმევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელს უფრო გაგიკვირდათ თქვენი საქციელი, შენ მამიდასი, თუ — პირიქით.

— მამიდა ლოგინად ჩავარდა, ბოლოს მაინც შემინდო. დღეს ის მაკითხავს ციხეში.

— დედა?

— დაჭერილია, ქალთა კოლონიაში იხდის სასჯელს. ისიც ნარკომანია. არა, დედას ჩემს გაუბედურებაში წვლილი არ მიუძღვის. არც ვიცოდი, ასეთ ცხოვრებას თუ ეწეოდა. როცა დაიჭირეს, მაშინ გავიგე. ერთმანეთს ზონაში შევხვდით.

— ახლა რა გატირებს?

— ციხეში დამთავრდა ჩემი ახალგაზრდობა...

— წამალი ხომ არ გენატრება?

— დასწყევლოს ეშმაკმა.

— შეყვარებული თუ ხარ?

— მგონი კი...

— რა არის შენთვის სიყვარული?

— არ ვიცი, იქნებ საყვარელ ადამიანთან სიახლოვე, ყოველ შემთხვევაში, უიმისობას ძალიან განვიცდი...

— რაზე გიფიქრია ამ კედლებში მომწყვდეულს?

— ციხე სამყაროს მოწყვეტილი ჯურღმულია. ჯურღმულში კი არაფერზე ფიქრობენ.

* * *

ის ჩემსკენ ზურგით იჯდა და კედელზე ხატავდა. არაპროფესიონალის თვალით კარგი ნამუშევარი ჩანდა. შემომხედა, ცარცი ძირს დადო და შემოტრიალდა...

**მ. ნ.** დაიბადა 1952 წელს, აქვს საშუალო განათლება, ადრე სამართალში არ ყოფილა, ჰყავს სამი შვილი და 70 წლის დედა.

პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა, მეორედაც იგივე ბედი ეწია. თვითმკვლელობის მცდელობაც ჰქონია. გადატანილი აქვს მიკროინფარქტი. ფსიქიურად აღგზნებულს ექიმების დანიშნულმა წამლებმა რომ ვერ უშველა, იქნებ ნარკოტიკმა მიხსნასო, და შხამის მორევში ჩაიძირა.

ზის ახლა ბეჭებში მოხრილი და ჩუმად ყლაპავს ცრემლებს. ლამის ნაკუწებად აქციოს მუჭში მომწყვდეული ცხვირსახოცი. გულახდილი ჩანს. სხვებისგან განსხვავებით არ წუწუნებს. თავს დამნაშავედ გრძნობს.

— საერთოდ, ადამიანი სანამ მაგრად არ წაიმტვრევს ცხვირს, მანამ არ ფიქრობს სასჯელის სიმძიმეზე. ვიტანჯები. შვილები ვერ მოდიან სანახავად. ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი გამომიწოდა.

„დედიკო, ძალიან მიყვარხარ. მაპატიე, ჩემო დედიკო, მანდ ვერ მოვალ. მენატრები, მაგრამ არ შემიძლია, თანაკლასელებმა და ნაცნობებმა რომ მნახონ, რით ვიმართლო თავი? ჩვენ ყველანი კარგად ვართ. გელოდებით. შენი თიკო. 1993 წელი, 5 აგვისტო“.

— ღირდა კი ყოველივე ამ ტკივილად? თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ მივხვდი, უარეს სისულელეს ჩავიდენდი. მაწუხებს ჩემი დანაშაული. მომისაჯონ, რაც დავიმსახურე, ოღონდ მალე დამთავრდეს ეს გაჯანჯლებული ძიების პროცესი.

— ციხეში პირველად მოხვდი, რას განიცდი?

— თუ გინდა ადამიანი დაწყევლო, აქ მოხვედრა უნდა უსურვო. საკანში ჩემს გარდა რამდენჯერმე ნასამართლევი ქალია. მიკვირს, აქედან გასულ ადამიანს, როგორღა უჩნდება სურვილი უკან მობრუნებისა?

უბედურება ის არის, რომ უჩნდებათ და არა იშვიათადაც.

* * *

**ზოია უ.** სპორტის დამსახურებული ოსტატი ყოფილა ცურვაში. ვარჯიშზე ტრავმა მიუღია და ტკივილების გასაყუჩებ[illegible]ად ნარკოტიკებს უკეთებდნენ.

— ჩვენ საცოდავი ხალხი ვართ. ნარკომანია ავადმყოფობაა. მას ციხით კი არა, მკურნალობით უნდა ეშველოს. აქ უფრო ილუპება ადამიანი. ზიზღისა და სიძულვილის გარდა ხომ არსებობს სხვა, შეცოდების, შებრალების გრძნობაც. რატომ მათ არ იყენებთ ჩვენს მიმართ?

— დაწერეთ, რომ ნარკომანები ციხეში კი არა, სამკურნალო დაწესებულებაში უნდა ჰყავდეთ, სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ. თუ მკურნალობას არ დაემორჩილა, მხოლოდ სიკვდილი იხსნის. ისე, ნარკომანს კი არა, ნარკოტიკებით მოვაჭრეს უნდა ებრძოლოთ მთელი სიმკაცრით.

იქნებ ზოგ რამეში მართალიცაა ეს ქალბატონი, მაგრამ დანაშაულის თავის წილს მოხერხებულად იცილებს თავიდან, თუნდაც საკუთარი თავის, საკუთარი ოჯახის წინააღმდეგ.

— თქვენ ერთ დროს სახლიც გაყიდეთ დედაქალაქის პრესტიჟულ უბანში.

— კი, ვალები მქონდა, წამალს ვყიდულობდი, დიდძალი თანხა დაგროვდა და რა მექნა?

— არ შეგენანათ მამაპაპისეული სახლ-კარი?

— ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანისთვის ყველაფერი სულერთია. ეს მოხდა მეორე სასჯელის მოხდის შემდეგ.

სქელყდიანი რვეული გამომიწოდა, — მთელი ჩემი განვლილი ცხოვრებააო, მითხრა.

სხვადასხვა განწყობით დაწერილი ლექსები იყო...

* * *

**მარინა ა.** 1948 წელს დაბადებული, ნასამართლევი. ქმარ-შვილიანი. დაამზადა ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ და წინასწარი მოლაპარაკებით მიჰყიდა ნაცნობებს. მას არც ლაპარაკის სურვილი აქვს და არც ჩადენილ დანაშაულზე დარდობს. ვფიქრობ, აქ სიტყვა საქმეს ველარ უშველის.

* * *

პატარა ბიჭი ციხის გამოსასვლელთან ატუზულა. გალურჯებული ხელები რკინის გისოსებისთვის ჩაუვლია. თითქოს განგრევას ლამობს. თავს ცნობისმოყვარედ ატრიალებს რკინებს შუა, მაგრამ ვერაფერს ხედავს.

— რა გქვია, ბიჭუნა?

— გიოლგი. სამი წლისა ვალ, ეს ჩემი ბებიაა.

— სად არის შენი დედიკო?

— იქ, — ციხისკენ გაიშვირა ხელი.

— რას აკეთებს იქ?

— ავადაა...

— რატომ?

— ფქვილი ჭამა და დაიჭირეს...

მინდოდა უკან შებრუნება. ვიფიქრე, კარისკაცს ვთხოვ, შეუშვას ბებია და შვილიშვილი პაემანზე, მაგრამ ვერ შევძელი, ერთი უბრალო მიზეზის გამო: არ მინდოდა, პატარას წარმოდგენილი დიდი და ნათელი ოთახის ნაცვლად, ვიწრო, უსინათლო და ნესტიანი საკანი ენახა...

**მაია მოსიძე,**
შინაგან საქმეთა სამინისტროს
პრესცენტრის ინსპექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

**შეკითხვებს, ახალგაზრდა დედებს რომ უჩნდებათ თავიანთ პირმშოსთან დაკავშირებით, ბოლო არ უჩანს. იმედი გვაქვს, ჩეხი ექიმის მიროსლავ მატიუშეკის პასუხებს თქვენც ყურადღებით ადევნებთ თვალს. მაშ ასე:**

**— ვყოყმანობ, გავიდე თუ არა სამუშაოდ. ხომ არ დადგა დრო, თავი დავანებებინო ძუძუს წოვისათვის?**

— ვფიქრობ, შესაძლებელია, რომ ეს არ გააკეთოთ. განსაკუთრებით, თუ ბავშვი 5 თვემდე ასაკისაა. თუ ბაგაში დაგყავთ, შესაძლებლობა გაქვთ მოაწოვოთ დილით და სადილის შემდეგ. ეს დრო უნდა მიუსადაგოთ სამსახურს, ან თხოვოთ ხელმძღვანელობას შეგიცვალონ სამუშაო საათები.

სასურველია ბავშვი ბაგაში მიიყვანოთ სამსახურში გასვლამდე 2-3 კვირით ადრე, თანაც დასაწყისში მხოლოდ რამდენიმე საათით დატოვოთ იქ. ბავშვი ნელ-ნელა მიეჩვევა იქაურობას.

ბაგაში შეყვანამდე კარგად უნდა აწონ-დაწონოთ ყველა ის დადებითი და უარყოფითი მხარე, რაც ბაგაში ბავშვის მიყვანას თან ახლავს.



**— მართალია თუ არა, რომ ბაგის ბავშვები განუწყვეტლივ ავადმყოფობენ?**

— დიახ, ბაგის ბავშვები უფრო ხშირად და ხანგრძლივად ავადმყოფობენ, ვიდრე შინ აღზრდილები, უფრო ხშირად ემართებათ ზემო სასუნთქი გზების კატარი, სურდო და ხველა, რაც ერთმანეთისაგან ედებათ. მაგრამ ბაგასაც აქვს დადებითი მხარე. ბავშვი იზრდება თანატოლთა გარემოცვაში, რაც კარგად მოქმედებს მის განვითარებაზე.

**— ნუთუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მე მას ვანებივრებ?**

— ამის მთლიანად თავიდან აცილება ძნელია. გაიხსენეთ, როგორ ექცევით მას, რომელსაც ყველაზე მეტი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, უწევთ ყოველგვარ სამსახურს. კარგად დაფიქრდით, ხომ არ კარგავთ კრიტიკული შეფასების უნარს, როცა საქმე თქვენს პატარას ეხება. აღფრთოვანებული ხართ მისი ზრდის ყოველი ჩვეულებრივი გამოვლინებით.

აი, ეს გარემოება ანიჭებს უპირატესობას ბაგას, სადაც ბავშვი კარგავს თავის განსაკუთრებულობის გრძნობას.

**— ჩემი ბავშვი არ ჭამს ბოსტნეულის სუპს.**

— რაც შეეხება სუპს, შესაძლებლობა გაქვთ უცვალოთ გემო, რაც ბოსტნეულთა შეცვლით მოხდება, იქამდე, სანამ პატარას არ მოეწონება მისი გემო. თქვენ ფიქრობთ, რომ ბავშვს არ მოეწონება სულ მთლად უმარილო, წყალში მოხარშული ბოსტნეული და ცოტათი შეწვავთ ხოლმე ზეთში. ეს კი სრულიად ზედმეტია. ცხიმის გამოყენებისას წარმოიშობა ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას, რაც ბავშვს არ სჭირდება. ხელს უშლის საჭმლის მონელებას.

გარდა ამისა, ბავშვები არ უნდა მიაჩვიოთ მწარე, ცხარე საჭმელს, თორემ ისინი საერთოდ იტყვიან უარს მათთვის აუცილებელ საკვებზე, მაგალითად, რძეზე, რაც პირველ წელს ბავშვის ყოვლად აუცილებელ საჭმელს წარმოადგენს.

საინტერესოა, როგორ მოიქეცით, როცა ბავშვმა უარი თქვა სუპის ჭამაზე?

**— მის ნაცვლად რძე მივეცი და მოეწონა.**

— ამით თქვენ მას უკარნახეთ: თუ სუპი არ მოგწონს, აი, შენ — რძე. ცხადია, ამის შემდეგ ბავშვს აზრადაც არ მოუვა მიირთვას ის, რაც მისთვის თუმცა აუცილებელია, მაგრამ გემოთი არ მოსწონს.

როცა ბოსტნეულს დაიწუნებს, ნუ დააძალებთ, მაგრამ ნურც სხვა საჭმლით შეუცვლით. დაიცადეთ, და როცა ხელახლა მოშივდება, კვლავ ბოსტნეული შესთავაზეთ. ბავშვებსაც სხვადასხვა გემოვნება აქვთ. ზოგს მომჟავო ურჩევნია, ზოგს — ტკბილი. ამიტომ, ბოსტნეულში შეგიძლიათ ჩაუმატოთ ლიმონის რამდენიმე წვეთი. სუპი პატარას მიეცით კოვზით.

თუ თქვენმა ამგვარმა მცდელობამ ნაყოფი არ გამოიღო, გარკვეული დროით უარი თქვით, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მიუბრუნდით ბოსტნეულს.

**— ხანდახან სუპში ხორცსაც ვხარშავ.**

— ხუთი თვის ასაკიდან ეს საჭიროა. მონაცვლეობით კვერცხის გული და ხორცი. ხორცის ნაჭერს ვხარშავთ დარბილებამდე, შემდეგ ვუმატებთ ბოსტნეულს. ბოსტნეული შეიძლება ცალკეც მოხარშოთ და უკვე მზა სუპში ჩადოთ. თავიდან პატარას მხოლოდ ბულიონს ვასმევთ. შემდეგ ხორცის საკეპ მანქანაში ან მიქსერში დაქუცმაცებულ ხორცსაც ვაძლევთ. ხორცს დღეგამოშვებით მისცემთ. უხორცო დღეს კი სუპში ჩაუმატებთ მცირეოდენ უმი კვერცხის გულს. ზოგი ამჯობინებს თეთრ ხორცს (ქათმის), სინამდვილეში ყოველნაირი ხორცი გამოდგება.

ზოგჯერ მშობლები ცდილობენ მისცენ საქონლის ტვინი. იგი თუმცა რბილია, მაგრამ ადვილი მოსანელებელი არ არის. იშვიათად, საჭიროა მივცეთ შიგნეულიც: ღვიძლი, ელენთა, მხოლოდ იმ პირობით, რომ იყოს ახალი და სუფთა.

**— მის განავალში ვხედავ მოუნელებელ სტაფილოს.**

— ეს ბუნებრივია. ადამიანი ინელებს ბოსტნეულის მხოლოდ ნაწილს. დანარჩენი ისე გაივლის ნაწლავებს. ბოსტნეულის კვებითი ღირებულება დიდი არ არის, მაგრამ იგი შეიცავს რკინას, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს. ამიტომ, ის ძალზე მნიშვნელოვანი საკვებია ბავშვებისათვის.

**— როგორ მივცე სუპი, მაწოვარათი?**

— სასურველია კოვზით აჭამოთ. ძუძუთი გაზრდილი ბავშვი უსათუოდ უნდა შეაჩვიოთ კოვზით კვებას. კოვზით კვება ენისა და პირის სულ სხვაგვარ მოძრაობას მოითხოვს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო გვიან დააწყებინებთ კოვზით ჭამას, მით უფრო ცუდად ეჩვევა კოვზს.

ხუთი თვის ასაკიდან თანდათან შეაჩვიეთ სქელი ფაფის ჭამას, მანანის ფაფას, ბოსტნეულის და ა. შ.

**— მანანის ფაფა ისევე დავამზადოთ, როგორც მოზრდილი ბავშვებისათვის?**

— პრინციპი იგივეა. მაგრამ სჯობს ასე მოიქცეთ:

ერთი კოვზი საბავშვო მანანის ბურღული დაალბეთ 1 საათის განმავლობაში 50 გ წყალში. დაამატეთ 2 კოვზი შაქარი და 150 გრამი რძე. შედგით დაბალ ცეცხლზე და განუწყვეტლივ ურიეთ 10 წუთის განმავლობაში. აორთქლებული წყლის ნაცვლად დაამატეთ ადუღებული წყალი, სანამ მასა 200 გრამი გახდებოდეს. ბოლოს ჩადეთ 1 ჩაის კოვზი კარაქი, უკეთესია გამოიყენოთ მშრალი რძე (რძის ფხვნილი).

# აგრესიულობა

ცნობილია, რომ ბავშვს ადრეულ ასაკში გარკვეული აგრესიულობა ახასიათებს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამ თვისების გამოვლენისათვის, რაც უეჭველია საკმაო ნერვების ფასად დაგვიჯდება. დროდადრო, ალბათ, ზედმეტ სიმკაცრეს გამოვიჩენთ პატარის მიმართ. ხანდახან კი გადამეტებული ალერსით შევეცდებით მის მორჯულებას. ხოლო თუკი ბავშვის აგრესიული საქციელი ბავშვური იმედის გაცრუებითაა გამოწვეული, ნუ დაგვავიწყდება, რომ მომავალში მას არაერთი მძიმე წუთი ელის.

ასეა თუ ისე, საკმაოდ ძნელია ბავშვი მთლიანად გავათავისუფლოთ ამ გრძნობისგან, მაგრამ ასეთი რამ შესაძლებელიც რომ იყოს, მის განხორციელებას არ უნდა ვესწრაფოთ, რადგან აგრესიულობას თავისი დადებითი და უარყოფითი თვისება აქვს. აგრესიულობას შეუძლია ბავშვებში გააღვიძოს ინიციატივის გრძნობა ან პირიქით — გულჩათხრობილი გახადოს იგი.

ჩვენი ამოცანაა წავახალისოთ აგრესიულობით გამოწვეული დადებითი თვისებები. ეჭვი არაა, რომ აგრესიულობას ბავშვი თოთოობიდან ავლენს. ახალშობილის გულისმომკვლელ ტირილში ძნელი არაა აღშფოთებული ნოტების ამოცნობა. მიზეზი უბრალოა, პატარას რაღაც დააკლეს ან რაღაც აუკრძალეს. მასში აგრესიულობამ გაიღვიძა. ძუძუმწოვრების შორის, ბავშვები ყველაზე დაუცველი არსებანი არიან. მათ მოტყუებასა და გაბრაზებაზე იოლი არაფერია. ბავშვი დაბადების წუთიდან დამოკიდებული ხდება მშობლებზე და ეს მდგომარეობა წლების მანძილზე არ იცვლება. როგორც არ უნდა ვეცადოთ ჩვენ, უფროსები, ბავშვებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, იდილიას მაინც ვერ მივაღწევთ იმ ათასგვარი აკრძალვების წყალობით, რაც ჩვენ ბუნებრივად გვეჩვენება, ბავშვს კი აღიზიანებს. ჩვენ ვეხმარებით პატარას სამყაროში დამკვიდრებაში, მაგრამ ისინი მაინც დათრგუნულები ჩანან უცხო გარემოში. დაბადებიდან მთელი 2,5 წელია საჭირო, რათა ბავშვი კარის სახელურს მიწვდეს და იქვე დარწმუნდეს, რომ მის გასაღებად ძალა არ ეყოფა. თავის სურვილებისა და მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა ბავშვს ცხოვრებას ურთულებს. არც თუ იშვიათად, მის ბრაზს იწვევს შიმშილისა და დაღლილობის გრძნობა.

მითუმეტეს პატარას, მთელი დღის მანძილზე რამდენიმე იმედგაცრუება ელის. მის მისწრაფებებსა და სურვილებს დაუნდობლად ახშობენ, რაც იწვევს კიდეც აგრესიულობას ანუ ბრძოლის რეაქციას. იგი თავის თავში აერთიანებს დაუკმაყოფილებლობის, პროტესტის და სიბრაზის გრძნობას და ბავშვს სურვილის დასაკმაყოფილებლად ძალადობისკენ უბიძგებს. ეს გრძნობა უფრო ბუნებრივი და მისაღებია, ვიდრე წუწუნი, უხმო მორჩილება, უნაყოფო ფანტაზიები ან რეალობისგან განდგომის სხვა საშუალებები.

ცხოვრებაში ხშირად გვიწევს ბრძოლა. ჩვენ აღფრთოვანებით შევცქერით უკომპრომისო, უშიშარ, მიზანსწრაფულ და შეჯიბრის მოყვარულ ადამიანს. თუმცა, აგრესიულობას მეორე მხარეც აქვს, რაც სიცრუეში, გამომძალველობაში, ძალადობასა და ზოგჯერ მკვლელობაშიც კი გამოიხატება. აი, რატომაა აუცილებელი, რომ მთლიანად კი არ ჩავუხშოთ ბავშვს ეს გრძნობა, არამედ იმ მიმართულებით განვუვითაროთ, რაც ცხოვრებაში გამოადგება.

ბავშვში აგრესიულობის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება მის მიმართ გამოხატული სიყვარულია.

პატარები, რომლებიც გრძნობენ რომ გარშემო მყოფთ უყვართ, ნაკლებ აგრესიულები არიან.

რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენთაგანი დარწმუნებულია, რომ უყვარს თავისი შვილი და ასკვნის, ბავშვს არა აქვს საფუძველი აგრესიული იყოსო. ნუ დაგვავიწყდება, რომ არც თუ ხშირად გამოვხატავთ სიყვარულს პატარისათვის გასაგებად. მაგალითად, როცა ბავშვს ენერგიულად ვუწმინდავთ ყურებს, გრძნობების გამოსახატავად არც გვცალია და არც სურვილი გვაქვს. ისიც ფაქტია, რომ სიბრაზესა და მოუთმენლობას მეტი ენერგიულობითა და დრამატიზმით გამოვხატავთ ხოლმე, ვიდრე ნაზ გრძნობებს. ბავშვს კი, ეს უფრო მწარედ ამახსოვრდება.

თუკი ბავშვი თავის აგრესიულობას პირველ 2–3 წელიწადში ჩვენზე ანთხევს, ეს ბუნებრივი მოვლენაა. მაგრამ თუ ბავშვი ზედმეტადაა განებივრებული 3–4 წლის ასაკში, მისი ფსიქიკური განვითარება შენელებულია და ჩვენი მისდამი დამოკიდებულების ნებისმიერი ცვლილება მასში აგრესიულობის მოზღვავებას გამოიწვევს. არის შემთხვევები, როცა ბავშვი საკუთარ თავში იხშობს აღშფოთებას, რასაც უკვე ზრდასრულ ასაკში ავლენს.

როცა დედა ბავშვს კანფეტს არ აძლევს, გაბრაზებული პატარა ცდილობს თავისზე სუსტზე იყაროს ჯავრი. ამ დროს შეიძლება მან საყვარელი სათამაშო გატეხოს, ან ქვა ესროლოს ჩიტს. ზოგი მამაცი ბავშვი პირდაპირ ილაშქრებს მშობლების წინააღმდეგ, თუმცა, შემდეგ თვითონ მწარედ განიცდის ამას. ქვეცნობიერად მას მშობლების სიყვარულის დაკარგვისა ეშინია. ეს შიში, თავის მხრივ, კვლავ აგრესიულობისკენ უბიძგებს და იქმნება მოჯადოებული წრე: ბავშვი თავს დათრგუნულად გრძნობს არა მარტო მშობლების, არამედ საკუთარი შიშისა და დანაშაულის გრძნობის გამო.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ერთმა ჩვენმა ტკბილმა სიტყვამ შეიძლება ბავშვს მთელი ეს დაძაბულობა მოუხსნას. აგრძნობინეთ პატარას თავი საყვარელ არსებად, ამავე დროს, ეცადეთ გაარკვიოთ მისი პროტესტისა და სიჯიუტის მიზეზი.

# უფროსები და უმცროსები

● რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების ●

**რ**თულ პირობებში გვიხდება ცხოვრება. არსებობისათვის ბრძოლას ადამიანები მდგომარეობიდან გამოყავს, სახეს აკარგვინებს, ფეხქვეშ ათელინებს იდეალებს, რომლებსაც თაყვანს სცემდა და, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება, როცა ცხოვრება ჩამშვიდდება და ეკონომიკური საზრუნავიც შემსუბუქდება. აჯობებდა კი, რომ მიუხედავად ყველანაირი გაჭირვებისა, ადამიანს სწორედ ამ ვითარებაში არ დაეკარგა სულიერი მხნეობა და რაც სამარადისოდ სათაყვანებელია, ამ ძნელბედობის ჟამსაც სათაყვანებლად დაეტოვებინა. რა თქმა უნდა, ბავშვებს ვგულისხმობ. მათ ირგვლივ დღეს ისეთ მოწამლულ ატმოსფეროს ვქმნით, რომ ნამდვილად ხელვყოფთ ბავშვის ეკოლოგიას, მის მომავალს, უახლოესი მომავლის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. დღევანდელი ჩვენი გაბოროტება, გაუხეშება, სულიერი მანკიერება, დაბეჯითებით ვამბობ, კარგს არაფერს უქადის ბავშვებს, რომლებიც ჩვენს მიერვე უაზროდ არეული ცხოვრებით ისუსხებიან.

აი, ამის ცხოვრებისეული მაგალითებიც.

## პურის რიგში, დილაადრიანად

ახალგაზრდა ქალს ხელში წლინახევრის ბავშვი უჭირავს, ოთხიოდე წლის ბავშვისთვის კი ხელი მოუკიდია და ხალხს ეხვეწება: მხოლოდ ერთი ცალი პური ამაღებინეთ, მეტი არ მინდა. შეძახილები:

— გააჭირვეს ამ ბავშვიანებმა საქმე...

— თურმე, ერთმანეთისგან თხოულობენ ბავშვებს, რომ პური აიღონ...

— დატოვე, ქალო, ბავშვები შინ და შენც ჩვენსავით ჩადექი რიგში...

— გაუშვით, აიღოს ერთი პური...

— მაგან რომ აიღოს და მე აღარ შემხვდეს?..

* * *

თბილისის ერთ-ერთი სკოლის უმცროსკლასელი მოსწავლის მშობლის ნაამბობი:

— არ დაიჯერებთ, ისეთი რამ ხდება სკოლაში!

— რა ხდება ასეთი?

— წარმოგიდგენიათ, ბავშვებს მასწავლებელი ეუბნება: „ბავშვებო, ხომ გინდათ კანფეტები, შოკოლადი? გემრიელი ნამცხვრები?" „გვინდა". „აი, მალე ბიძია ზვიადი დაგვიბრუნდება თბილისში და კანფეტებსაც მოგიტანთ, შოკოლადებსაც, ნამცხვრებსაც, პურიც გვექნება და შაქარიც. ბიძია ზვიადი ყველაფერს მოგვიტანს".

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

* * *

## ტროლეიბუსში

ახალგაზრდა ქალმა ძლივს ამოიყვანა ორი ბავშვი ტროლეიბუსში და წინ მდგომებს ეხვეწება:

— გადაიწიეთ შიგნით, ხომ არის ადგილი!..

წინ მდგომნი ადგილიდან არ იძვრიან.

— გადაიწიეთ, ღმერთი არა გწამთ!.. ბავშვები დამაყენებინეთ...

— სადღა უნდა გადავიწიოთ, არ არის ადგილი...

— როგორ არ არის, ცოტა გაიწიეთ...

— შენც შემდეგ ტროლეიბუსს გამოჰყევი, რატომ ჭყლეტავ ბავშვებს...

— როდის მოვა შემდეგი, ბავშვებს კი ცურვაზე აგვიანდებათ...

— დაათრევ მაგ ბავშვებს უთავბოლოდ...

— როგორ თუ დავათრევ...

— დაათრევ, აბა, რა, რა დროს ცურვაა ამ უბედურებაში...

## მეტროს გასასვლელში

კედელთან ორი ბიჭუნა ზის, შვიდი-რვა წლის. მღერიან, რომ გამვლელთაგან რამდენიმე კუპონი დაიმსახურონ, თუმცა, კი არ მღერიან, სიმღერით ტირიან.

— დურულ დულ, დურულ დულ, დურულ დალ, დურულ დალ...

ვიღაცა გაჩერდა, ერთ-ერთს, რომელიც ფულს აგროვებს, ხუთკუპონიანს თუ ათკუპონიანს ჩაუდებს ხელში.

ამ დროს მატარებლების მოძრაობა შეწყდა და გადასასვლელი ხალხით გაიჭედა. ადამიანები ერთმანეთს ეხეთქებიან, ხელს კრავენ, ბიჭებს გვერდს ვეღარ უქცევენ.

— ხალხნო, — ყვირის ვიღაც, — ნუ აწყდებით ერთმანეთს, აქ ბავშვები სხედან!

— ბავშვები კი არა, მათხოვრებია, მაგათი...

— ფრთხილად, ადამიანებო, ბავშვები არ გადავთელოთ...

და ამ უბედურებაში სადღაც ქვემოდან ისევ გაისმის ბიჭების:

— დურულ დულ, დურულ დულ, დურულ დალ, დურულ დალ...

* * *

## ბაზარში

მამა თავის რვა-ცხრა წლის ბიჭთან ერთად კარტოფილის გამყიდველს მიადგა.

— რა ღირს?

— ოცი ათასი! — გამყიდველი ორმოციოდე წლის კაცია.

— ოცი ათასი?!. შე დალოცვილო, ოქრო ხომ არ არის...

— ოქროა თუ კარტოფილია, ოცად ვყიდი.

— არ დაუკლებ?

— რას გეტყვი, იცი, შენ თუ ბაზარში ჯიბეგახვრეტილი დადიხარ, რა ჩემი ბრალია...

— ხალხის გაჭირვებით სარგებლობ, შე დალოცვილო... სპეკულანტი ხარ, რა!..

— სპეკულანტიც ხარ და შენი მათხოვარი... თუ ეს გირი გამოგიქანე... გაეთრიე შენი...

— მამააა... მამიკოოო... ყვირის შეშინებული ბიჭუნა.

დასკვნისათვის სახარებას მოვიშველიებ:

მათე, 18... 2. იესომ დაუძახა ბავშვს და ჩააყენა მათ შუა.

3. უთხრა... ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში...

5. ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მღებულობს,

6. ხოლო ვინც ერთ ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ...

14. აგრეთვე არა აქვს სურვილი თქვენს ზეციურ მამას, რომ დაიღუპოს ერთი ამ მცირეთაგანი".

**შალვა ამონაშვილი**

# სახარება ყმაწვილთათვის



## დე იყოს ნება შენი

ამის შემდეგ ქრისტე მოწაფეებთან ერთად გამოვიდა სახლიდან და გეთსიმანიის ბაღისაკენ გაემართა. ბაღის სიღრმეში მხოლოდ სამი მოწაფე შეიყოლა. ესენი იყვნენ: პეტრე, იაკობი და იოანე, მაგრამ ეს სამიც მოშორებით გააჩერა, რომ განმარტოებულს ელოცა. „აქ დარჩით და ილოცეთ“, — სთხოვა მან მოწაფეებს.

ქრისტე ლოცულობდა: „მამაო ჩემო! თუკი შესაძლებელია, მიხსენი მე მოსალოდნელი წამებისაგან! მაგრამ დეე ყველაფერი აღსრულდეს შენი ნებით და არა ისე, როგორც მე მსურს!“ სამჯერ შეწყვიტა ქრისტემ ლოცვა, დაბრუნდა მოწაფეებთან და სამივეჯერ მძინარნი დახვდნენ ისინი.

„ნუთუ ერთი საათიც ვერ გასძელით ჩემთან ისე, რომ არ დაგეძინათ?“ — უთხრა მან პეტრეს, — „ნუ გძინავთ და ილოცეთ, ახლოვდება უკანასკნელი წამი. ადექით! აი, მოდის, ვინც გამცა მე!“ იგი რომ ამას ამბობდა, ბაღში იუდა ისკარიოტელი შემოვიდა ჩირაღდნებიანი ჯარისკაცებისა და დანებითა და კეტებით შეიარაღებული ბრბოს თანხლებით.

## იუდას გამცემლობა

იუდამ ჯარისკაცები გააფრთხილა, რომ იგი შეეპყროთ, ვისაც ეამბორებოდა. იესოსთან რომ მივიდა, იუდამ აკოცა მას და უთხრა: „გამარჯობა, მოძღვარო!“

ქრისტემ ბრბოს მიმართა: „როგორ შემომესიეთ დანებითა და კეტებით, თითქოს ყაჩაღი ვიყო? განა მე არ გასწავლიდით ყოველ დღე სიკეთის ქმნას? შემდეგ ჯარისკაცებს მიმართა და ჰკითხა: „ვის ეძებთ?“ „იესო ნაზარეველს“, — უპასუხეს ჯარისკაცებმა. „ეს მე ვარ“, — თქვა იესომ. ბრბომ უკან დაიხია. მოწაფეებმა შიშისაგან მოკურცხლეს.

## კაიაფასთან

ჯარისკაცებმა იესო ქრისტე სინაგოგას კულტის მთავარი მსახურის, კაიაფას სახლში მიიყვანეს. პეტრე მოციქული შორიახლო მიჰყვებოდა მათ.

კაიაფას სახლში თავი მოეყარათ ქრისტეს მოძულე ყველა მწიგნობარსა და ფარისეველს. პეტრემ ვერ გაბედა შიგ შესვლა; იგი ეზოში დარჩა მსახურებთან ერთად, რადგან უნდოდა ენახა, თუ რითი დასრულდებოდა ყოველივე.

როდესაც ქრისტე წარსდგა კაიაფას წინაშე, მან იხმო მოწმეები და ბრალმდებლები, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ისინი იტყოდნენ ისეთ რამეს, რისთვისაც შესაძლებელი იქნებოდა იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯა. ცრუმოწმე ბევრი გამოჩნდა.

„რას იტყვი თავის გასამართლებლად?“ — ჰკითხა ქრისტეს კაიაფამ.

მაგრამ ქრისტე დუმდა.

მაშინ კაიაფამ უთხრა მას: „გაფიცებ ღმერთს! გვითხარი ჩვენ, განა შენ არა ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა?“

„დიახ, მე ვარ ქრისტე“ — უპასუხა იესომ.

მაშინ კაიაფა ზე წამოიჭრა და დაიყვირა: „გაიგონეთ, როგორ გმობს ღმერთს? მეტი რაღა დამტკიცება გინდათ? რა სასჯელს მიუზღავთ მას ამ დანაშაულისათვის?“

ყველა იქ მყოფმა დაიძახა: „სიკვდილით დასჯას“ და გარს შემოერტყნენ ქრისტეს; ისინი ყოველნაირად დასცინოდნენ მას, აფურთხებდნენ და სცემდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილი მარადიულს

საოცრად იცვლებოდა ნაზი კილასონია ლექსის კითხვისას – მისი ხასიათის მკაცრი წახნაგები ლბილდებოდა, სათუთდებოდა და იგი ხდებოდა ლამაზი, ამაყი და სათნო.

ჩვენ, მისი ახლობლები, ვგრძნობდით, რომ ნაზის მხოლოდ ლექსი კლავდა და ლექსი აცოცხლებდა, მაგრამ რას გაუგებ შემოქმედის უსათუთეს სულის ხვეულებს...

და აი, ყოველივე ამის დასტურად მის მშვენიერ ნოველას გთავაზობთ, შემთხვევით რომ გადავაწყდით, მის ქაღალდებში.

თურმე, ნაზი ნიჭიერი პროზაიკოსიც ყოფილა...



„გთხოვთ, არ გაიგოთ სხვანაირ სახით".

ლადო ასათიანი

„შენ კი მითხარი: არაფერია!"

ალ. საჯაია – თქვენდამი

„იგი მისმენს, მერე მკაცრად
ამბობს: მაი აფერია".

გალაქტიონი

ახლა, როდესაც მეოთხედი საუკუნისა უკვე გასულია,
როდესაც შორიდან ვუყურებ იმ საცოდავ ბავშვს,
როდესაც ვაფთრდები მის უმწეობაზე,
როდესაც მრცხვენია მის ნაცვლად,
როდესაც მისი დაცემა, მისი დაღმართები დაძლეული მაქვს,
ტანჯვის ფასად,
წლების ფასად,
ნერვების ფასად,
გაანჩხლებული, უღონო სიავის ფასად,
და ყველა ამათგან ვარ აწ თავისუფალი,
როდესაც თითქოს მიუღწევლის მიღწევა შევძელი – შევძელი სიტყვის მოთვინიერება, დაურვება და ამით თითქოს უფლის ნათელს ვეზიარე, – მადლობა იმ ტანჯვას! ამის გარეშე არაფერი არ იქნებოდა! მადლობა თქვენც, ვინაც თქვენდაუნებურად, თქვენის სურვილის გარეშე შემქმენით.

ახლა, როდესაც ხელპირდაკაწრული ავედი ჩემს სახელიანსა თუ უსახელო მაღლობზე, სრულის შეგნებით ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, გაესაუბროს თქვენს თავს – რომაელი პატრიცის ჭკვიან, მკაცრსა და დამცინავ თავს.

მე მინდა ავხსნა, აგიხსნათ, – რა მოხდა? რატომ მოხდა? მე თავად მინდა გავერკვე.

მე მინდა დავუბრუნო, აღვუდგინო თქვენს საცოდავ მოსწავლ... თავისი უფლებები. – რომ იგი არ იყო უნიჭო (როგორც თქვენ გეგონათ), რომ იგი არ იყო მარტივად უბირი (როგორც თქვენ ფიქრობდით) და რომ მას ბრწყინვალე მეხსიერება ჰქონდა (რასაც, ალბათ, სულაც არ მოელოდით), იგი რომ ცოტა ნაკლებ უსახური ყოფილიყო და ცოტა ეშმაკი – მაშინ არც ეს ბარათი დაიწერებოდა.

რატომ მოხდა? უკეთ, რატომ მოხდა ჩემში? წელან თავი მოვიწონე: ბრწყინვალე მეხსიერება მაქვს-მეთქი, ახლა ვეცდები, ეს დაგიმტკიცოთ და რამდენიმე წუთით გადაგასახლოთ იმ ბედნიერ დროში (გთხოვთ, ძალიან გთხოვთ თქვენ, დაძაბოთ მეხსიერება, რადგან თქვენთვის ის უსარგებლო დეტალები, ალბათ, სრულიად წაშლილია).

გახსოვთ გოგონა, რომელიც მოვიდა თქვენთან პიონერთა სასახლეში? მას თქვენ მიეცით ყოვლად შავი სამუშაო: გადაეწერა „ნიჭიერ" ბავშვთა ლექსები და მოთხრობები ალბომში. მე მახსოვს თქვენი ნათელი, მაღალი ოთახი, მახსოვს სარკის ელვარება დერეფანში. გადავწერე ყოვლად საძაგელი ხელით და კვლავ მოვედი. თქვენ მაინც მადლობელი დამრჩით და ჩამიყვანეთ პირველ სართულზე. იქ დიდხანს ვისხედით დირექტორის მისაღებ ოთახში. მერე რამდენიმე კითხვა მომეცით. გპასუხობდით დაბნეულად. რატომ დაბნეულად? იმიტომ, რომ შეურაცხყოფილი ვიყავი: მე ხომ სხვისი, სხვა ბავშვების შემოქმედება გადამაწერინეს (რა გულწრფელი ვარ ახლა!). წარმადგინეთ ჩემი უბედური ალბომით, და მართლაც, რა უბედური წამოველ, რა გაბუტული (ეს გაბუტვა მერე დიდხანს გამყვა).

შემდეგი შეხვედრა: ისიც ომამდე. უკანასკნელი გამოცდა. ფრიადოსანი ვარ (იმ სკოლაში მე ვბრწყინავდი, მერე გადავისხი ქალთა სკოლაში ლაფი, თორემ...), დამრიგებელმა სამასწავლებლოში ჩამაგზავნა „ნორჩი ლენინელის" კორესპონდენტია მოსულიო, და – თქვენ! თავჩაღუნულმა, ენაჩაგდებულმა, ხმაჩაწყვეტილმა მოგახსენეთ ჩემი „წარმატებანი". მერე ჩემი სახელითა და გვარით გამოქვეყნდა გაზეთში: ესა და ეს ვქმენ, ამას და ამას დავეხმარე, ასე და ასე ვსწავლობ-მეთქი (ხედავთ? თავიდანვე მქმნიდით, როგორც მითს. მერე დაგალალატეთ, თორემ...)...

ასე გაზეთზე „გაჩვეული" მომიყვანა შემდეგ წელს რედაქციაში ერთმა კეთილისმყოფელმა მასწავლებელმა. ეს იყო „კომუნისტის" გამომცემლობის პირველ სართულზე, ხელმარცხნივ. სწორედ იქ, სადაც შემდეგში მეც ვმუშაობდი. მახსოვს ორად გაყოფილი ოთახი, შემინული ძგიდით. თქვენ მაგიდასთან ბრძანდებოდით. რატომ მიგვიღეთ ასე ცივად? რატომ არ მიცანით? მაშინ ვერ მივხვდი. ახლა ნათელია – გაბეზრებული იყავით ვუნდერკინდებით, ტალანტებით, მათი კორესპონდენციებით.

შემდეგ? ეს უკვე ომის პირველსავე წელს მგონი: დედასთან ერთად მარჯანიშვილის თეატრში, ქანდარაზე ვარ, ვგონებ, გოთუას „მეფე ერეკლე" იყო. როგორ ვტიროდი ანა – ვერიკო ანჯაფარიძის ქვითქვითზე! რა განაბული მივდევდი მოგონილ ჩახლართულ-ჩაჯგრეხილ სიტუაცია-კონფლიქტებს (მეტი საქმე არა ჰქონდა მეფე ერეკლეს – სულ ბესიკს იხუტებდა და „ჩემო ბიჭო, ჩემო ხუჭუჭავ, რა დაგიშავე ისეთიო?" – ჩასძახოდა!). დიახ, ერთი სიტყვით, თავს ვიტყუებდი, გულს ვიგდებდი. აითო ჭალი. თვალდასიებული წამოვდექ და... ისევ თქვენ, მაგრამ მარტო არ ბრძანდებოდით, სხვა ახალგაზრდასთან ერთად. მას შემდეგ, რაც საჯაიას ლირიკამ მომხიბლა, ყოველთვის მჯეროდა, რომ მე იგი ვნახე, ვნახე თქვენთან ერთად, თეატრში. გთხოვთ გაიხსენოთ, ხომ ასე იყო? მე მიგანიშნებთ: ორთავეს სვიტერი გეცვათ, ერთნაირი, ახალი, თითქმის ნიკაპამდე ამოქსოვილი ყელით. მე ფერიც მახსოვს იმ ქსოვილის, – თეთრი თუ ნაცრისფერი. ყოველ შემთხვევაში, არც წითელი, არც შავი, არც ყავისფერი, არც ყვითელი... მე ჩაგიარეთ. თქვენ იცინოდით (შეიძლება ბესიკის ბღლვინვას დასცინოდით), მე კი მომეჩვენა, რომ რაღაც უწესოს ლაპარაკობდით, ჭაბუკურად უწესოს, მისატევებელს (ნუთუ ვტყუივარ, ნუთუ ვერ გაიხსენეთ?).

მერე კი ქალთა „პანსიონი", სადაც ორიოდე ხნიერი პედაგოგი დაღოღიალებდა, ერთიც ისტორიის ახალგაზრდა, მაგრამ მოდებილო მასწავლებელი. და ბავშვი-ქალიშვილები, რაღაცის ლოდინით, რაღაც გაურკვევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობით აფორიაქებულნი. ჩემთვის იქ ერთადერთი, ნაწვიმარი გაზაფხულივით სავსე სიახლე — ნათელა კეშელავა. სიახლე ამდენ მოსაწყენ ერთფეროვნებაში, ერთნაირად მოდუდუნე მასწავლებლებში. ნათელას მწვანე პალტო ეცვა, შავი ფერის ქუდი და ეშმაკურად მოჭუტული თვალები ჰქონდა (მიკვირს, რატომ არ გიყვარდათ მაშინ იგი?). იგი პირველსავე თვეს წავიდა ჩვენგან. წასვლის წინ ავიდა კათედრაზე, რატომღაც მაჯიდან საათი მოიხსნა, გვაუწყა კარგ ხასიათზე ვარო და დაგვარიგა: ახლა ჩემს ნაცვლად ერთი მეტად საინტერესო, ჭკვიანი და სერიოზული ვაჟი მოვაო, და აბა, თქვენ იცით, არ გაანაწყენოთ, კარგად ისწავლეთო. „ჭკვიანი და სერიოზული ვაჟის“ სანახავად ზარის დარეკვამდე სამასწავლებლოს კარში ვიჭვრიტებოდით. და როდესაც თქვენ შემაგებეთ თვალები (რომელმაც შემდეგში მრავალი ლექსი დამაწერინა), მაშინ მე საწყალმა ბედისწერად ჩაგთვალეთ. ასეთი ვრცელი წინამორბედის შემდეგ, ნება მიბოძეთ, ჩვენს კლასში შეგიყვანოთ. კლასი — სავსე უმეტესად ლატაკი და მშიერი გოგონებით. გამოვტყდები, საკმაოდ ბლაგვი ბავშვებია, აქ ხუთოსნები ტვინშეზღუდულები არიან, ისეთი სამოსანი კი, როგორიც მე ვარ, წიგნებში ვარ თვალჩაწყალებული (ოღონდ ქართულ წიგნებში, რუსულად ზღაპარიც არ მაქვს წაკითხული!), ერთხადაიმავეს მეასედ ვკითხულობ, ამიტომ ახლომხედველი ვარ და დაფასთან, პირველსავე მერხზე ვზივარ.

თქვენ შემოდიხართ და მცნობთ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც გეუხერხულებათ და ამიტომ ჩემშიც რაღაც საყრდენის მსგავსს ეძებთ. შემდეგში მივხვდი, რომ მეტს მოელოდით, — ე. ი. ჩემი გონებისგან მოელოდით უფრო მეტს. ვერ გაგიმართლეთ. ვერ გაგიმართლეთ, რადგან ჩავიკეტე ჩემშივე. რაღაც საბედისწეროდ ვერ შევძელ, მეჩვენებინა სინათლე ჩემი სუფთა გონებისა. თქვენ გვესაუბრებოდით დავით კოპერფილდის შესახებ. აღტაცებული იყავით იმ სიძლიერით, რითაც დიკენსმა გამოძერწა ური ჰიპის სახე, მისი ბაყაყივით სლიპი ხელები (გახსოვთ? რომ მართალი ვარ?). თქვენ გინდოდათ კლასამდე მოგეტანათ ერთი უმშვენიერესი რამ: როდესაც ური ჰიპი მიდის, კოპერფილდი ხსნის ფანჯარას (რა მშვენიერია!). კლასს არ ესმოდა ეს. არც ჰქონდა წაკითხული, მე კი ზეპირად ვიცოდი თითქმის მთელი წიგნი (ქეთევან ბაქრაძის მიერ იყო თარგმნილი?). თქვენ კი ეჭვიც არ გაგკარებიათ ამის შესახებ. როგორ შემარყიეთ, როდესაც ო ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი“ გვიამბეთ. ეს უკვე სიახლე იყო ჩემთვის. სევდიანი, გულისშემძვრელი, თქვენ ყველაფერ ამას დედანში კითხულობდით და უფრო მეტად ღრმავდებოდა უფსკრული... რომ მომკლათ, ვერ გადამარწმუნებთ: გეზიზღებოდათ მთელი კლასი. გეზიზღებოდით მეც. უარესიც — თქვენ დაგვცინოდით (დაგვცინოდით, რადგან მშვენიერებასთან ერთად გონიერებასაც სცემდით პატივს, ჩვენ კი ამის ნიშანწყალიც არ გვედო). გუმანით გრძნობდით, რომ იდუმალი თაყვანისმცემლები გაგიჩნდნენ. მე სულელი ვიყავი, რა სულელი!), ყველგან ვკითხულობდი ჩემს გონჯ ლექსებს ცისფერ თვალებზე. გინდათ გაგახსენოთ, როგორ დაგვცინოდით? აი, მაგალითად. იძახებთ აყლაყუდა გამხდარ მოსწავლეს, რომელსაც ვენერა ჰქვია:

— აფროდიტა, გამობრძანდით!

იგი წითლდება და გახსენებთ, რომ „ვენერა“ ჰქვია.

— ღმერთო, მომკალი! თუმცა, აფროდიტა და ვენერა ერთიდაიგივეა, ხომ იცით?..

ვენერა-აფროდიტას კი არაფერი სმენია ამის შესახებ.

მე ამის შემდეგ კი აღარაფერს ვსწავლობ ჯიუტად. გამომიძახეთ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ბოლოს ცოდვით მეუბნებით ერთადერთს: თუ გინდათ უმაღლესში მოხვდეთ, ინგლისურიც უნდა ისწავლოთ (მე ვგრძნობდი ამ „თ“-ს, ვით შეურაცხყოფას).

თქვენ ხშირად დგებით დაფასთან, ჩემს მერხსა და კედელს შუა. ტანსაცმელი კედლისგან გესვრებათ. თქვენ კი თურმე ეჭვობთ — კლასში ცარცს მისვამენო. შემდეგ გაკვეთილზე დაჟინებით გიყურებთ და წყენისგან ათრთოლებული ტუჩებით გეუბნებით: „მასწავლებელო, ნუ დგახართ კედელთან, ტანსაცმელზე გადაგდით“. თქვენ რაღაცას ხვდებით და... წითლდებით. არა, უსამართლო არ უნდა ვიყო. არის ორიოდე ბავშვი, ვისაც პატივს სცემთ. ისინი კარგად სწავლობენ ტექსტებს, უწესო და წესიერ ზმნებს. ერთი სიტყვით, მართლაც კარგები არიან. თქვენ აქებთ ჩემი მეგობრის, თანამერხელის მხედველობით მეხსიერებას (ეს უკვე სიახლე იყო ჩემთვის: „მხედველობითი მეხსიერება“!), მე მშურს მათი, მაგრამ რა ვქნა, უკვე ველარ ვსწავლობ ვერაფერს და უნიჭოთა ჭაობში ვინთქმები სამუდამოდ (მაგრამ თქვენ არ იცით, რომ სახლში მაქვს ჩემი თავშესაფარი: ჩემი წიგნები, ჩემი ლექსები, ჩემი გალაკტიონი და ჩემი ლადო ასათიანი).

მხოლოდ ერთხელ დაინახეთ ჩემში უფრო მეტი: მაწყენინეთ, მკაცრად (არ მინდა გაგახსენოთ დეტალები. მეყოფა, მე რომ მახსოვს). მთელი გაკვეთილი მერხზე თავდამხობილი ვტიროდი. შეწუხდით, იგრძენით, რომ თავმოყვარეობა დიდი მქონია. ვტიროდი და ბედნიერი ვიყავ, ვტიროდი შვებით, რომ ჩემს გამოც შეგიძლიათ შეცბეთ (ასეთი შვებით ახლა სიზმარში ვტირივარ მხოლოდ ხანდახან).

ვიცი დაგღალეთ. მაგრამ მე ახლა მეტირება. ნუ ჩამომართმევთ სენტიმენტალობაში. გათოშილს, საუკუნის მეოთხედით გათოშილს მიყვარს ის სულელი ბავშვი, ის დაღვრემილი ქუჩა, პირქუში შენობა სკოლისა. მე თქვენ გიწერდით თავხედ ლექსებს („და ჩემი თავხედი ლექსები“), სადაც ერთი სტრიქონი მაინც გამოერეოდა ხოლმე ხელუხლები, როგორც დაპირება:

„წინ გაშლილია ქუჩის მარაო
(გაცვეთილია!),
მიდიხარ სწრაფი და იმალები
(სუსტია!),
ვიწრო პროსპექტი ცრემლში ქანაობს
(მომწონს, ძალიან),
ცრემლმა დასეტყვა ჩემი თვალები“
(საძაგლობაა).

და, უცებ, ამოვარდნილი, ჩემეული, მხოლოდ ჩემგან ნათქვამი:

„ვაი, რა ცუდად გიცნივარ,
რა ტყვილად გდებდი იმედებს:
მე ათი გულის ღირსი ვარ,
შენ ერთიც ვერ გაიმეტე!“

მადლობელი ვარ, რომ ვერ გაიმეტეთ. მე ხომ ველარ დავწერდი მაშინ. ვერაფერს ველარ დავწერდი, ვერასოდეს. აკი ვთქვი კიდეც ცოტა მოგვიანებით:

„მეც მინატრია ია მუხლამდის,
როს გაზაფხულის მწვავდა იერი.
მიყვარდა, მაგრამ რომ არ ვუყვარდი
სწორედ ამიტომ ვარ ბედნიერი!“

... თქვენ რომ გცოდნოდათ პატარა სხეულში, პატარა მოელვარე თავში დატრიალებული ეს ქარიშხალი, ყოვლის წამლეკი და უბედური — დამითმობდით თქვენცა და თქვენი მშვენიერი საცოლეც. და-მით-მობდით.

შემდეგ გაჭირვებით დამთავრებული სკოლა. ატესტატი.

და მცხეთა!

მცხეთა! მზით ალავარდნილი. ელდასავით გულისგამხეთქი მცხეთა, სვეტიცხოველი. გათხრილი სამაროვანი. ჩემს პირდაპირ იდექით, სამარის იქით. ჩვენ გვიამბობდნენ სერაფიტასა და ზევახის (თუ „ძევახის“?) შესახებ. ბაბო მჭედლიძე ბედნიერებით იცინოდა — და მოგმახოდათ, თქვენ მოგმახოდათ: — თქვენ რომ შვილი გაგიჩნდებათ, ზევახი უნდა დაარქვათო.

მერე თქვენ ისევ იცინოდით, ლაღობდით და ბაბო გსაყვედურობდათ: — სად იწყებით სერიოზული და სად მთავრდებით დამცინავი, ვერ გამიგიათ! — გახსოვთ? ჩვენმა პარალელურმა კლასმა გაშალა სუფრა. ჩვენ კი ვენახში წყაროს მივაგენით და ცივი წყლით ვიგრილებდით ხელ-პირს, გულს. რომელიღაც ბავშვი, რომელიღაც მოსწავლე ვაჟთა სკოლიდან, გამოგექცათ, ალბათ შეთვრა კიდეც, და თქვენ გულამოვარდნილი ეძებდით. ჩამოირბინეთ წყაროსთან. მე კი ნაკადულში ვიდექი (რა მშვენიერი პოზაა გამიჯნურებულისთვის!), ვიდექი ფეხშიშველი, ქვეყნით მოხიბლული და ქვეყნით გულამღვრეული. გულამღვრეული თვით ნათელა კეშელავაზეც (ისიც ხომ ჩვენ დაგვემგზავრა). მეგონა იგი გიყვარდათ. მერე მატარებლის ლოდინი, ხეების ქვეშ, ნათელა მთხოვდა წამეკითხა ლექსი, რომელიც იმ დღეს გულში დავწერე. არა, იმ დღეს არა, მაგრამ შემდეგ, დიდიხნის შემდეგ დავწერე და სხვათა შორის, თქვენს მიერ გამოცემულ წიგნში დავსტამბე:

„... იქ, თეთრ კიბეებზე იჯდა სერაფიტა,
დუმილდარღვეული გრილი წერაქვითა.
მას ფეხთით დავუგდე ცისფერი
რვეული,
რა შლეგი ვიყავი და გადარეული,
საყვარლად შლეგი და, და გადარეული:
ნეტავი იმ დღეებს,
იმ სერაფიტას“.

...და მცხეთელი ქალები სადგურის კიბეებზე მწიფე ალუბალსა ჰყიდდნენ. ეს აქამდე ჩამრჩა, როგორც ტკივილი, როგორც ჭრილობა ალუბლისფერი.

მატარებლით დავბრუნდით. ვისხედით თითქმის ცარიელ ვაგონში. მგონი ნათელას შევეცოდე. ალბათ გითხრათ, ალბათ ამიტომ მოხვედით ჩემთან, რაღაც მითხარით.

მერე სოფელი. ჩემი სოფელი გამოცდებამდე, უმაღლესი. მე მოგწერეთ წერილი. რა თქმა უნდა, ოჯახის წევრები არ გადმოგცემდნენ: მე კი მივრბოდი ნედლ სიმინდებში, ვვარდებოდი გულაღმა და შევყურებდი ცას, თეთრ ღრუბლებს, ვით საშველს რაიმეს. რაღაცას ველოდი. აბა, როგორ შეიძლებოდა სხვანაირად. ოჰ, ერთი დიდი რამ დამავიწყდა: კლასში წაგვიკითხეთ და გვითარგმნეთ ადგილი „ოლივერ ტვისტიდან“: „ცოტაოდენი ფაფა კიდევ დამიმატეთ. ცოტაოდენი, სერ“, ვიღაცამ გაიცინა. თქვენ გაბრაზებით დახურეთ წიგნი. გეხვეწეთ, მაგრამ აღარ გააგრძელეთ, ეხლა გვითხარით გულმოსულმა: ოლივერი რუსულადაცაა ნათარგმნი. კეთილი ინებეთ, და წაიკითხეთ, გაიხარჯეთო. და, წარმოგიდგენიათ? მე ვიშოვე „ოლივერ ტვისტი“, პირველი წიგნი, რომელიც რუსულად წავიკითხე! დიკენსის სიყვარულით, თქვენის ბრძანებით — დავძლიე იგი! ეს იყო ულვთო ყამირი. მაინც გავტეხე. და ამის შემდეგ შევაღე დიდი მწერლობის კარი, დახარბებული, გაგიჟებული ვფლეთდი, ვკითხულობდი, ვეცნობოდი. გმადლობთ, ამისთვისაც!

ზაფხულშივე დავბრუნდი. იმ თვეებმა თქვენ მოგიტანათ ბედნიერება, ზეიმი სიყვარულისა. მე კი — სიცივე უარყოფისა, უთქმელი უარყოფისა. მახსოვს, როგორ ხწრაფად გაიარეთ ერთად რუსთაველის პროსპექტზე. მახსოვს, რარიგ დატრიალებდით თავს მისაღებ გამოცდებზე. მე კი მომგვარეთ ვიღაც მეგრელი გოგონა საპატრონოდ: ეხლაც მახსოვს გვარი: პერტაია (მითხარით გეთაყვათ, პერტაია აკლდა ჩემს „ბედნიერებას“?). სამაგიეროდ, პერტაია მიამბობდა ალიოშა საჯაიაზე, რომელიც ხწორედ იმ ზაფხულს დაიღუპა. მიამბობდა როგორ ბრძანდებოდით სამი მეგობარი — თქვენ, საჯაია და რეზო მარგიანი სამეგრელოში. როგორ ეჭვიანობდით ერთმანეთზე — ვის ვინ უფრო მეტად უყვარხო (არ ვიცი, იქნებ ტყუოდა კიდეც. ადვილი მოსალოდნელია მისი ჩაკონწიალებული ნაწნავებისგან), მერე პერტაია დაიკარგა და, საერთოდ მეც დავიკარგე, არაფერს გაყვედრით. გადავდიოდი ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე, დავხეტიალობდი წვიმაში, თოვლში, ვსველდებოდი, ვტალახდებოდი, ვეცემოდი, ვდგებოდი. თქვენ უბრალოდ იქეცით მიზნად (ცუდად არ გამიგოთ), თქვენ კი არა — ამოსვლა თქვენს სიმაღლემდე. ვწერდი გაუბედურებულ ლექსებს, ასეთს მაგალითად:

„ო, მე ეს აღმართი ბევრჯერ ამივლია
(ე. ი. ელბაქიძის აღმართი)
ვერ მოგწვდა გედური ძახილი:
რომ შენი ხელები ორი ყვავილია,
მკრთალი და ნამქერში დახრილი.
მომე ეგ ხელები, ძვირფასო, ათასჯერ,
ვემთხვიო, ვემთხვიო მრავალგზის,
ცისფერ ქვეყანაში ღმერთებმა დამსაჯეს,
მარგუნეს სიკვდილი ლამაზი“.

ვიგონებდი უცნაურ სათაურებს, ასეთს მაგალითად: „ქორწილი ზეცაში“, გპირდებოდით, რომ ზეცაში გადავიხდიდით ქორწილს (ვითომ, აქაოდა, მიწა რა ჩემი საკადრისი და ტოლი იყო. ეხლა დამრჩა ნუგეშად!). ღმერთმანი, მეცინება და მეტირება, მეტირება და მეცინება, ამას რომ ვწერ!

„ჩვენ ზეცაში გადავიხდით ქორწილს,
სადაც ლურჯი ყვავილები ფეთქავენ,
ჩვენ ზეცაში გადავიხდით ქორწილს,
რადგან ავცდით აქ — მიწაზე ერთმანეთს“.

და სხვა მრავალი... და ჩემი საბრალო ტვინი, არეული ტვინი ვერ ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი იყო დიდი, შავი სამუშაო ლექსზე, იყო უზარმაზარი სამზადისი, რომ მერე უბრალოდ, მიწიერად და ადამიანურად მეთქვა:

„მე აღარ ვდარდობ, აღარ ვეჭვდები
მაქვს ბედნიერი სველი ბეჭები“.

იმ წლებში, როცა პირველად მოვედი მწერლობაში, პირველად მოგიახლოვდით — უკვე ცხადად გძულდით. ერთხელ, სულნათელ შატბერაშვილთან ერთად ვიდექით საშვიდნოემბრო დემონსტრაციის შემდეგ. რაღაც ვთქვი. თქვენ მომიბრუნდით, როგორც მეტიჩარას, როგორც არამკითხეს „რა ბრძანეთ, ქალბატონოო“, სულ განგერიდეთ, იმდენად შევიგრძენ, იმდენად ფიზიკურად შევიგრძენ ეს სიძულვილი. მას შემდეგ სიკვდილს ვათავებდი, თუ თქვენთან შემოვიდოდი გამომცემლობაში (არ დაგიმალავთ: მე მაშინ ვფიქრობდი, რომ დამსახურებულად მივიღე ის ზიზღი). ერთი-ორჯერ მოვედი მხოლოდ, როცა მეტი გზა არ იყო, როცა თქვენმა ბუღალტერიამ დამაღალატა: გრძელი ოთახი, თქვენ და მე, ეს საშინელება იყო. მე, ვისაც ამდენი რამ მიბოძეთ, ახლა რაღაც გროშების ბოძებას გთხოვდით (თქვენ ჭკვიანი ბრძანდებით, ძალიან ჭკვიანი — ხომ შემაძრწუნებელი იყო ეს?).

ახლა, როცა ასაკმა, წლებმა, საკუთარი თავის რწმენამ სულ სხვა ნათელი ჩააფინა ჩემს სულს, დამიბრუნა პატივისცემა საკუთარი არსებისადმი, ამამაღლა ჩემსავე თვალში, ახლა როცა იმდენად სულგრძელი გავხდი, რომ გაპატიეთ ერთი საღამო, ჩემი ხელი რომ გეჭირათ, როცა დამპირდით, რომ ხვალ მწერალთა კავშირში გნახავთო (მაგრამ ის ნახვა თქვენც ზეცამდე გადადეთ).

ახლა, როცა თქვენს მაღალგონიერებას ვცემ პატივს, იმ საქმეს ვცემ პატივს, რაც გააკეთეთ ჩვენი ხალხისათვის.

იმ ჟურნალს ვცემ პატივს — თქვენ უპირველესად რომ ჩაუდექით (თუმცა მე იქ არ გამაჭაჭანეთ).

ახლა მკითხავთ: რისთვის დავწერე ეს ყველაფერი?

დავწერე მშვენიერებისათვის, რომელსაც ჩემი სიკვდილის შემდეგ დავტოვებ. ბრძანეთ, ხომ ვივარგებდი თქვენს ბიოგრაფადაც?

და რამდენი რამ მახსოვს კიდევ!

ამ ერთ პასუხზე შევდრკი, გაგახსენოთ თუ არა? მოდით, დავწერ. ეს სისულელე მაპატიეთ თქვენს უნიჭო მოხწავლეს: ერთხელ, ჩვენი „შეგირდანობის“ წელს, ვიღაცამ ტელეფონით, მეზობლის ტელეფონით გამოგიძახათ. შეიძლება არც კი იცნობდით იმ მეზობელს; შეშფოთებული მობრძანდით. იმ ვიღაცამ გითხრათ, რომ იტანჯება, რომ, რომ უთქვენოდ სიცოცხლე შეუძლებელია, რომ, რომ... მაშინ თქვენ ასეთი ფრაზით უპასუხეთ: „თუ ჩემი ტოლი ხართ, მიიღეთ როგორც საყვედური. ხოლო თუ პატარა — მიიღეთ როგორც დარიგება, რომ უცხო ხალსის შეწუხება არ შეიძლება!“... მიხვდით ახლა ალბათ, ის „ვიღაც“ მე გახლდით. დღემდე მახსოვს ის დარიგება, იმდენად, რომ თქვენი შეწუხების დროსაც ყურმილი ხელში მეწვის. დამიჯერეთ, ეს იყო პირველი და უკანასკნელი.

ახლა კი ლექსი, რომელსაც არასოდეს დავბეჭდავ:

„ზურგს უკან მიდგას ჩემი სატანა,
და ანგელოზი შიგნით.
მათ შუა ტანჯვით გამოვატარე
ჩემი ცხოვრების წიგნი.
ყველას თავისი უძევს ამფორა,
თვრება და კვდება მაგით.
თქვენს სულს, მშვენიერს, ვერ ვეამბორე
მიწად საქცევი ბაგით.
მაგრამ გიზგიზად დახშულ საკანში
ეს ხომ შევიცან სიბრძნის:
ვინ მთლად იოლად დგება ბაქანზე
ვინ — წაქცევამდე იბრძვის.
მშვიდობით, თვალთა ჩემთა საჩინო,
ბნელი არყოფნის შიგნით
ერთადერთს თქვენ გთხოვთ —
გადაარჩინოთ
ჩემი ფერადი წიგნი!..“

ეჰ, როგორ გამომრჩა ჩვენი შეხვედრა ხალხით გაჭედილ მატარებელში! თქვენ სურამიდან მობრძანდებოდით. მე ჩემი ქარიანი სადგურიდან — აგარიდან. თქვენ სარკმელთან იჯექით, მზეს იჩრდილებდით მოგრძო ქაღალდით, რომელზედაც, ვფიქრობ სინონიმები გეწერათ (ალბათ რომელიმე ტრაგედიას თარგმნიდით შექსპირიდან). მე კი სრულიად კომედიურად მეჭირა კარტოფილებით სავსე, ყურამოგლეჯილი კალათი. თქვენ ვერ დამინახეთ. მე გავედი ჩემი ტვირთით კორიდორში, თბილისამდე ფეხზე ვიდექი და თბილისამდე ვტიროდი. მერე ის კარტოფილიანი კალათა ქრთამად მივეცი სადგურის კარებში მდგარ „მედპერსონალს“, არ გამსინჯოთ-მეთქი (ხომ გახსოვთ, იმ წლებში „ტიფის წინაალმდეგ მიღებული ზომები!“) და ახე მშიერი, ფეხით ამოვედი ბელინსკის ქუჩამდე. განა დუმბაძის კალამი არ უნდა ყოველივე ამას?

მაპატიეთ, კიდევ ერთხელ მომიტევეთ, რომ გადაგღალეთ.

„ვინ მთლად იოლად დგება ბაქანზე,
ვინ წაქცევამდე იბრძვის...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია



## ციური ხეთერელი

### ირხევა ფარდა ძველებურ დრამის

როცა ჩემი მზე უკანასკნელი
ნაცნობ ფერდობზე გადაილევა,
ლეგა ღრუბლები ღამეული ცის
გაიძაგრება, გადაირევა, —
უმთვარო ღამე მოუთმენელად
გადაევლება, ჰორიზონტს წაშლის,
ღამის სიბნელით შემოძაძული
ზღვა თავის უგრძეს დალალებს გაშლის...
გზადაკარგული და უნაპირო
შეელეწება ტალღები ტალღებს, —
დამდნარ გულიდან დაუნდობელად
ამოალაგებს მდუმარედ ამბებს,
და მილეული მკრთალი ვარსკვლავი
ჩამიქრობს თვალებს — ჩემს სულის სანთლებს,
ისე ანაზდად, მაცხოვრისათვის
ვერც კი მოვასწრებ ორიოდ სათქმელს, —
გაფითრებულ გზით წამოვალ შენთან
და ამოვიტან სიჩუმეს ღამის,
უსწრაფესი გზით გავსერავ, დედა,
აბეზარ ლოდინს შეხვედრის წამის...
ჰო, რა სიტკბოთი გადავეხვევით,
გული მეორედ გაგვისკდეს ლამის...
და მერე უხმოდ, შენს სასთუმალთან
რაღაც უცნაურ კდემით, რიდებით,
ლონემიხდილი და უსასოო,
შენს თბილ უბეში გავირინდები.
შენი ალერსით გაყუჩდება ყველა ტკენანი,
რა ნეტარებით მაქრქოლებს, დედა!
მეხება შენი ხელის მტევანი.
ვწევარ უძრავად და ახალ ფიქრებს,
როგორც სიცოცხლეს, ვილაგებ მკერდზე
და ამ სიჩუმის სამეუფოში
მე ვუსმენ მოცარტს. მუხლმოდრეკილი
აღვავლენ ლოცვას შენი გულისთვის,
ვით ერთადერთზე.
და ვამბობ მშვიდად, რომ მწუხარება
ახლა ზღვა დარდი გულს არ ახელებს.
შენ მოხვალ ჩემთან, შეწეული ჩუმი ალერსით,
უერთგულესი ცისფერი ლექსი,
და ღალატული, საყვარელი ხელის მტევანით
მოეფერები ჩემს გამხდარ ლექსებს.

## ირმა შიოლაშვილი

* * *

ვიცი, ბავშვობა შეფარვით მომთხოვს
ძველი ლექსების არდავიწყებას.
ვიქნები მშვიდი, სანამდე დაღლილს
იმედის ძაფი გადამიწყდება.
ვიქნები მშვიდი და დამზრალ ღიმილს
უსულო სულზე მივუსათუთებ,
მერე, როდესაც მოვლენ ლანდები
და ტკივილს წკვარამ ღამეს გავუთევ,
რაღაცას ვკითხავ... თუმცა, ფიქრები
ხელშეუხებელ ცრემლად დადნება,
ცოდვა იქნება, ცოდვა იქნება
ახალი ლექსის არდაბადება.
ნუ გაიოცებ, ოცნების ჩერო
არც თუ მამძიმებს ბედის კირთივით,
მე მომწონს, როცა ბავშვურად ვმსჯელობ,
ბავშვურად ვმსჯელობ და ვწერ დიდივით.
მე მომწონს, როცა თოვლს ვენატრები
და სიმარტოვეც აღარ მაოსებს
და აჩრდილები თეთრი ბაფთებით
არ მისტირიან დღეთა ქაოსებს.
და ქაოსიან მონატრებაში
ზეცის კანდელი უხმოდ კიანთებს.
ზღვა იძირება ველურ ვნებაში,
მზე როცა სხივთა ლაშქარს მიანთებს.
ნუ გაიოცებ. ოცნების ჩერო
არცთუ მამძიმებს ბედის კირთივით,
მე მომწონს, როცა ბავშვურად ვმსჯელობ,
ბავშვურად ვმსჯელობ და ვწერ დიდივით.

* * *

მერე მოვალ, მერე მოვალ თქვენთან
ბავშვობაში დაწერილი ლექსით,
დაიღვრება ჰარმონია ფერთა...
უხმოდ მოვალ, უხმოდ მოვალ თქვენთან
ბავშვობაში დაწერილი ლექსით.

## ლიანა ჯანეზაშვილი-თათარაშვილი

* * *

დილას ვადექი გორის გზას.
საღამოს ვიყავ იმერეთს,
დღეს ნიავს ვერ დავეწიე,
ძნელი ყოფილა სიბერე...
ჯან-ლონე მიდის თანდათან,
გული არ კვდება ტიალი,
მუხლი არ მოხდევს, თორემ გულს
გაუდის ფრთხიალ-ფრთხიალი...

15

# ვისი სული გსურთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამოცდაათიანი წლების მიწურულს, ალბათ, ცოტა ვინმე თუ იყო საქართველოში ვახუშტი კოტეტიშვილისთანა პოპულარული კაცი, მისი ხმის უჩვეულო ტემბრს სცნობდა დიდი და პატარა, – ერი და ბერი; უნივერსიტეტში მისულს სტუდენტთა წრფელი, სიყვარულით ანთებული თვალები ხვდებოდა, ბაზარში გამოსულს კი წყნეთელი და დიღმელი მემაწვნეები უფასოდ სთავაზობდნენ გასაყიდად გამოტანილ სურსათ-სანოვაგეს. მაგრამ გაივლის ცოტა ხანი და ხალხი, რომელსაც ასე უყვარს ვახუშტი კოტეტიშვილი, ავტომატს მიუშვერს მას და მამა-პაპეულ საცხოვრისს გადაუწვავს. „იობის წიგნის მთელი სიბრძნე მე მხოლოდ ამის შემდეგ გავიგე. აქამდის ჩემთვის იგი ოდენ მშვენიერი იგავი იყოო“, – იტყვის მერე ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი და ასე ვაჟკაცურად გაუსწორებს თვალს ცეცხლოვან სინამდვილეს, რომელსაც თურმე შეიძლება კაცურკაცობა და სინდის-ნამუსი დასაბუგად არ დაანებო.



# ბროწეულის ყვავილის შუქი

**— ბატონო ვახუშტი, დეკემბერ-იანვრის ცნობილმა მოვლენებმა ნაცართან ერთად, ალბათ, უამრავი საფიქრალი დაგიტოვათ და მათ შორის კითხვაც: სასჯელია თუ ჯილდო ეგრეთწოდებული „ხალხის სიყვარული“ და რამდენად მყარია იგი?**

— ის არანორმალური სიყვარული, რომელიც მაშინ ჩემს მიმართ გააჩნდათ, ზოგიერთებში მერე ასევე არანორმალური ზიზღით შეიცვალა; მე კიდევ არც ის სიყვარული მსიამოვნებდა და ბუნებრივია, არც ეს ზიზღი მსიამოვნებს. არ შეიძლება კაცი გაალმერთო, შენს კერპად და მსხვერპლსაზარელ ბომონად აქციო. ყველაფერში ზომიერებაა საჭირო და მით უფრო, ისეთ სათუთ გრძნობებს, როგორიც სიყვარულია, დიდი რუდუნებით უნდა გაუფრთხილდე, სწორედ ამიტომ, მირჩევნია, უხმაუროდ, ზედმეტი აფიშირების გარეშე, ვაკეთო ჩემი საქმე, მით უმეტეს, რომ „ტელევიზიის პოპულარობის“ მთელი „სიკეთე“ მწარედ გამოვცადე საკუთარ თავზე.

**— ახლახან 100 წელი შესრულდა მამათქვენის — გამოჩენილი ქართველი მკვლევარის ვახტანგ კოტეტიშვილის დაბადებიდან. საინტერესოა, რას გაიხსენებდით ახლა, ამ წლების გადასახედიდან!**

— მამაჩემი რომ დააპატიმრეს, ჩვენი ოჯახი შერისხულ და დაწყევლილ ოჯახთა სიაში ჩაეწერა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენგან ყველას ფეხი უნდა აეკვეთა და ჩვენი სახლი უსტუმრო სახლად ქცეულიყო, რაც მართლაც ასე მოხდა. მოსვლა არ ეკრძალებოდათ მხოლოდ ნათესავებს, მაგრამ მე მახსოვს, მამაჩემის ძალიან ბევრი მეგობარი, რომელთაც ამ განსაცდელის ჟამს მარტო არ დავუტოვებივართ. ჯერ მარტო ცნობილი ქართველი კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის სტუმრობა რად ღირდა! იგი ყოველ კვირას ამოდიოდა ჩვენთან სურსათ-სანოვაგით დატვირთული და ქუჩის დასაწყისიდანვე დაგვიძახებდა ხოლმე: „კოტეტიშვილებო, შინა ხართო?!“ ასევე ძია პავლე ინგოროყვა და მისი მეუღლე ქალბატონი ქეთო, რომელთაც ჩემთვის და ჩემი დებისათვის მზრუნველობა და სიყვარული არ მოუკლიათ. ხშირად გვაკითხავდა დიდებული ქართველი პოეტი ნიკო სამადაშვილი, რომელიც მამაჩემის ნასტუდენტარი იყო.

ცოცხალთა შორის მინდა განსაკუთრებით გამოვყო, ასევე მამას ნასტუდენტარი, ბატონი სოლომონ ხუციშვილი. როცა ჩემი შუათანა და მანანა გარდაიცვალა, ერთადერთი არანათესავი, ვინც მისი კუბოს თხუთმეტკაციან პროცესიას მიჰყვებოდა, ბატონი სოლომონი გახლდათ. ეს კი მაშინ გმირობას უდრიდა.

ალარაფერს ვამბობ ჩემს ბიძებსა და ბიცოლებზე, მამიდაჩემსა და მის მეუღლეზე — ცნობილ ქართველ მეც-

ნიერ სერგი მაკალათიაზე. მე და ჩემი დები იმისი პურითა ვართ გაზრდილები...

100 წელი შესრულდა მამაჩემის დაბადებიდან და მე დღევანდელ დღეს, ერთადერთი, რაც მოვახერხე, ჩემს ახლობლებთან ერთად ყველა იმ ადამიანის შესანდობარი დავლიე, რომლებიც მეირფასნი იყვნენ მამაჩემისათვის...

**— უკანასკნელ ხანს ჩვენში ღირებულებათა ტოტალური გადაფასება დაიწყო. შეიქმნა მტრისა და ერის მოღალატის ხატი, საინტერესოა, ღალატისა და ერთგულების თქვენეული ახსნა.**

— მე არ ვიცი, ადრე რა იყო, მაგრამ ბოლშევიზმმა მოიტანა მტრის ხატის გაიოლებულად* შექმნის მომენტი. ვინც არ უნდოდათ, ან არ მოსწონდათ, მოწინააღმდეგედ გამოაცხადებდნენ და თავიდან იცილებდნენ. ახლა კიდევ დრომ მოიყოლა ყოველგვარი ცნების დევალვაცია, ის კი არა, გაუფასურდა ისეთი დადებითი ემოციების გამომხატველი ცნებაც კი, როგორიც „პატრიოტიზმი" გახლავთ. იმიტომ, რომ ყოველგვარი უზნეობა და უგვანობა პატრიოტიზმის დროშით კეთდებოდა. ახლა ყველაფერი დუღს და ლექი ცხოვრების თავზეა მოქცეული, მაგრამ გაივლის ეს უამური ენებანიც; რადგან სიტუაცია, რომელშიც ახლა საქართველოს ცხოვრება უხდება, ანომალიურია, ანომალია კი შეუძლებელია ცხოვრების წესად და კანონად გადაიქცეს. ჩვენს ქვეყანას ბევრი ასეთი რთული ეპოქა გამოუვლია და ჩვენც გადავიტანთ ყოველივეს, მაგრამ სავალალო ის გახლავთ, რომ ამ განუკითხაობას და სიდუხჭირეს შესაძლოა ნახევარი საქართველო შეეწიროს და რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, იწირება ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილი.

მე მორწმუნე კაცი ვარ და მჯერა, რომ ეს განსაცდელი უფალმა მოგვივლინა ჩვენი ცოდვებისათვის, თუ გადარჩენა გვინდა, ჭკუა უნდა გვეყოს, ამ ცოდვათაგან განვიწმინდოთ. გზა ხსნისა მერე ნამდვილად გამოჩნდება.

**— „მოვხუცდი, მაგრამ არ მიგრძვნია დაძაბუნება, შენს სიყვარულში არ შემცვლია ზნე და ბუნება, მე შენი ზილფის ქამანდს ვეხვრი გაფრენილ დღეებს გახელებული სიჭაბუკის დასაბრუნებლად". ჯერ სიბერემდე ჯვარი გწერიათ, მაგრამ დიდი ხნის წინათ თქვენ მიერ თარგმნილ აბუ საიდის ამ სტრიქონებს ვის მიუძღვნიდა ახლა ვახუშტი კოტეტიშვილი?**

— ყველა ლამაზ და მშვენიერ ქალს! ვინაიდან, მართლაც არ შემცვლია ზნე და ბუნება და როგორც ჩანს, წლები გულზე არ მოქმედებენ. გული არ ბერდება, მაგრამ ზოგჯერ ასევე ჩემი თარგმანის, ოღონდ ამჯერად ჰაფეზისეული სტრიქონების განწყობალება მეუფლება ხოლმე: „შენ ცისკარი ხარ, მე — მიმქრალი სანთლის მუდარა, მაგრამ განთიადს სანთლისაგან არა უნდა რა"...

**— ჩვენს განაცრისფერებულ ყოფაში, როცა ყველაფერი მყიფეა და მიუკარები, პოეზია წყვდიადიდან ამოხეთქილი ბროწეულის ყვავილივით ღვივის და თავისი არსიდან ამოშუქებული სულიერებით გვეუბნება, რომ სიყვარულით გადარჩება ადამის მოდგმა; არადა, საქართველოში თითქოს აღარავის სცალია ლექსისათვის...**

— უპირველეს ყოვლისა, ბროწეულის ყვავილი შენში უნდა ენთოს. ამიტომ, ჩვენ-ჩვენს სულებს უნდა მივხედოთ. სულის სარკეს უნდა ჩამოვაცალოთ ჟანგი, რათა მასში ბროწეულის ყვავილის ფერი უფრო ცხადად და ლამაზად აირეკლოს. იცით, მე გულწრფელად მიკვირს იმ ხალხის, ვინც ამდენს ჩალიჩობს (რა მშვენივრად გამოხატავს ეს სიტყვა ამ მოვლენის არსს), ამდენს დაფუსფუსებს, იმის მერე, რაც ეკლესიასტე გვეუბნება „„ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს". თუ სიბრძნეს ოდნავ ნაზიარები მაინცა ხარ კაცი, ვერ უნდა ხვდებოდე, რომ წარმავალი რაღაცეების გამოდევნებამ შესაძლოა უფსკრულის პირას მიგიყვანოს? მაგრამ როგორც ჩანს, კაცობრიობა მართლაც ვერა სწავლობს ჭკუას და ისტორიის მაგალითებსაც ვერაფერში იყენებს.

**— „ფოლკლორის უზომო სიყვარული გენეტიკურად მომდგამს და დღესაც, ამ სიბერის კარიბჭესთან, ფოლკლორზე საყვარელი სფერო, უნდა ვაღიარო, ჩემთვის არ არსებობსო", — წერდით ერთგან...**

— საქართველოში თითქოს ყველამ იცის, რა არის ფოლკლორი, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, გამოირკვა, რომ თურმე ძალზე ცოტა მოიძებნება ხალხური შემოქმედების დამნახავი, აღმთქმელი და გამგები კაცი. ფოლკლორი თავისთავადი და განსაკუთრებული სამყაროა და თუ ამ სამყაროს კარი გაგეხსნება როდესმე, არ შეიძლება, არ მოჯადოვდე, არ მოიხიბლო და არ „აგეცრას" ის რაღაც, რომელიც მე არ ვიცი, ზუსტად რა ჰქვია, მაგრამ რომლის მონა რჩები სამარადისოდ.

მთელი ჩემი ცხოვრება ზურგჩანთამოკიდებულს მივლია ჩვენს მთასა თუ ბარში, ბევრ ხატობა-დღეობას შევსწრებივარ, ბევრ ქორწილ-ძეობასა თუ დატირებას, და ჩემი თვალით მინახავს, ჩემი ყურით მსმენია ის საოცრება, რასაც ნამდვილი და ჭეშმარიტი ხალხური გენია ჰქვია.

ამიტომაც მქონდა ჟინიანი სურვილი, რომ რაც მე ვიცოდი, ის იმ ხალხისთვისაც გამეგებინებინა, ვინც დაეჭვებული იყო ჩვენი ხალხური ნიჭის სიცოცხლისუნარიანობაში, მინდოდა ჩვენი ცივილიზებული მოქალაქეების მზერა ცოტა ხნით მაინც იქით მიმებრუნებინა, სადაც ჯერ კიდევ სწამდათ ანდერძად თქმული, სადაც ჯერ კიდევ ბჟუტავდა მითოსურ ხილვათა მიმკრთალი ნათელი, სადაც ჯიუტად ჩაბღაუჭებოდნენ ტრადიციული ხალხური აზროვნების ფესვებს და ჭერშემჭვარტლულ ქოხმახებში კვლავაც აჩხაკუნებდნენ ჯორაშეცერებულ პაპისეულ ფანდურებს, სადაც სიყვარულს ჯერ კიდევ სიყვარული ერქვა, ხოლო სიძულვილს — სიძულვილი. სადაც პირქუში მზერის ნაცვლად, ფარისევლურ ღიმილს არ მოგაგებებდნენ და თუ გაგიღიმებდნენ, ეს უკვე ნამდვილი ღიმილი იქნებოდა და არა ღვარძლის ნიღაბად ნაზმარი გრიმასა.

მოდით, ჩავხედოთ ჩვენი ფოლკლორის უსასრულოდ ფერადოვან სამყაროს და მისგან ვისწავლოთ ბევრი რამე, რაც არ ვიცით, ან რაც ვიცოდით და დაგვავიწყდა, თუნდაც ღირსება, თუნდაც ერთგულება, თუნდაც სიყვარული...

* * *

რამდენი რამ მინდოდა მეთქვა ამ წერილით, მაგრამ ვერ მოვახერხე ჩემი სიყვარულისა და პატივისცემის სრულად გამოხატვა; ვიცი, ამ სიტყვების წაკითხვისას ბატონი ვახუშტი უხერხულად იგრძნობს თავს, მაგრამ მაინც ვწერ, რადგან მიმაჩნია, რომ მისნაირ ხალხს სიცოცხლეშივე უნდა მოვუფრთხილდეთ, მივეფეროთ, და ამით ოდნავად მაინც დავუფასოთ ამაგი, რადგან რა შეიძლება იყოს ქვეყნად უმადურობაზე უფრო საშინელი? ისე არ გამიგოთ, თითქოს, თვითონ მას განსაკუთრებული პატივმიგების ოდნავი პრეტენზია მაინც გააჩნდეს, პირიქით, ვინც ბატონ ვახუშტის იცნობს, დამეთანხმება, რომ მას ამა ქვეყნის ძლიერთა სასახლეში ფუსფუსს საწერ მაგიდასთან ჯდომა ურჩევნია. იგი კეისრების კაცი არ არის — ღვთის კაცია!

შენ კი, ჩემო გონებადაბინდულო თანამოძმევ, როცა ამ კაცის სახლს ცეცხლს უკიდებდი, „ხალხის მტერი" და „ერის მოღალატე" ვახუშტი კოტეტიშვილი ამ სახლის ყველაზე უსაფრთხო ადგილას საწერ მაგიდას მისჯდომოდა და რილკეს პოეზიას გვითარგმნიდა ქართულად...

**გიორგი ლობჟანიძე**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინც ტკივილს ანუ

## პროფესია—ანესთეზიოლოგი



ვახტანგ ახალაძე.

მარტო კაცი ცოდოა, მით უმეტეს, განსაცდელის ჟამს, როცა შიში იპყრობს, როცა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე დგას, ან როცა სნეულია და იმედით თეთრხალათიანებს შესცქერის. სამწუხაროდ, ხშირად ხსნის ერთადერთი გზა ქირურგიული ჩარევაა.

ოპერაცია! — ამ სიტყვის გაგონებაც საკმარისია, რომ ავადმყოფის ემოციური სფერო შეიცვალოს: ისადგურებს შიში, მტანჯველი ფიქრი საკუთარ ჯანმრთელობაზე, მკურნალობის შესაძლო არადამაკმაყოფილებელ შედეგებზე, ღელვა ახლობლებზე...

მკურნალობის ქირურგიული მეთოდები მრავალი ასეული და ათასეული წლის წინ გაჩნდა, ხოლო ავადმყოფის ეფექტური დაცვა ტკივილისა და ყველა იმ არასასურველი ფაქტორისაგან, რომლებიც თან ახლავს ქირურგიულ ჩარევას, ექიმებმა მხოლოდ უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში ისწავლეს, პირველი ექიმი-ანესთეზიოლოგი კი, როგორც დამოუკიდებელი სპეციალისტი, საოპერაციოში ამ ნახევარი საუკუნის წინ გამოჩნდა, თუმცა ანესთეზიოლოგთა დინასტიის სათავესთან მდგომი ამ დარგის პირველ სპეციალისტად აღიარებული ჯონ სნოუ 1858 წელს გარდაიცვალა.

ჩვენ უკვე ვახსენეთ ანესთეზიოლოგი. ვინ არის იგი?

ანესთეზიოლოგი მედიცინის იმ დარგის სპეციალისტია, რომელიც სწავლობს ორგანიზმის მდგომარეობას ექსტრემალურ პირობებში. მისი მუშაობის მძიმე მოშლილობების მკურნალობას, ყველა სასიცოცხლო ფუნქციის მართვას.

უხშირესად ანესთეზიოლოგი ავადმყოფს დახმარებას საოპერაციოში უწევს: ეს იქნება დიდი ოპერაცია (მაგალითად, გულის სარქველების პროთეზირება), თუ მცირე ქირურგიული ჩარევა. ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფა აუცილებელია მრავალ სხვა შემთხვევაშიც: მაგალითად, ე. წ. „უსისხლო" ოპერაციების დროს, როგორიცაა თირკმლებისა და ნაღვლის ბუშტის კენჭების დაშლა, სხვადასხვა სამკურნალო და დიაგნოსტიკური პროცედურების დროს (სისხლის დიალიზი თირკმლების უკმარისობისას, გულისა და სისხლძარღვთა რენტგენოქირურგია და სხვა). განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ბავშვები თანამედროვე რთული გამოკვლევების დროს. ანესთეზიოლოგის

## ქალი და ინფარქტი

ჰარვარდის უნივერსიტეტის ექიმებმა კემბრიჯში (აშშ) გამოიკვლიეს 255 ინფარქტგადატანილი პაციენტი ქალი და საკონტროლო ჯგუფის 802 ქალი. გამოკვლეულთა ასაკი 25-დან 49 წლამდე იყო.

მიღებული მონაცემების ანალიზმა დაარწმუნა მკვლევარები, რომ ახალგაზრდა ქალებში პირველი არასასიკვდილო ინფარქტის ყველაზე მთავარი რისკის ფაქტორი იყო წევა.

იმ პაციენტებს შორის, რომლებმაც ინფარქტი გადაიტანეს, 84 პროცენტი მწეველი იყო, საკონტროლო ჯგუფში ეს მაჩვენებელი 53 პროცენტია.

არამწეველებსა და იმ მწეველებს შორის, რომლებიც დღეში ერთიდან 14 სიგარეტამდე ეწევიან, დაავადების რისკი თითქმის ერთნაირია. მათთვის, ვინც 15-24 ცალ სიგარეტს ეწევა დღეში, დაავადების რისკი 4,3-ჯერ იზრდება. 25-34 სიგარეტამდე რისკი 8,3-ჯერ, ხოლო 35 სიგარეტამდე მწეველთათვის რისკის ფაქტორი 10-ჯერ იზრდება.

მთლიანობაში რომ ავიღოთ, მწეველ ქალებს ინფარქტის მიღების საშუალოდ 5,5-ჯერ მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მათ, ვინც არ ეწევა ან წევას თავი დაანება.

მკვლევარები თვლიან, რომ 65 პროცენტი ინფარქტისა 50 წელზე ახალგაზრდა ქალებში გამოწვეულია თამბაქოს წევით.

ამის გარდა, გამოკვლევით დადგინდა, რომ ინფარქტისათვის მნიშვნელობით მეორე რისკ-ფაქტორი გახლავთ ქოლესტერინის მაღალი შედგენილობა და ლიპოპროტეინების დაბალი კონცენტრაცია. თუ სისხლი 300 მგ ქოლესტერინს შეიცავს, დაავადების რისკი 5-ჯერ მეტია, ვიდრე 200 მგ ქოლესტერინის შემცველობისას.

პაციენტის წონა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოდგა, სამაგიეროდ, დადგინდა გარკვეული კავშირი სისხლის ჯგუფსა და მიოკარდის ინფარქტს შორის.

და ბოლოს აღინიშნა, რომ ინფარქტის მიღების ალბათობა, იზრდება, თუ პაციენტის 60 წელზე უფრო ახალგაზრდა ერთზე მეტ ახლო ნათესავს გადატანილი აქვს ინფარქტი ან ინსულტი.

ნ. სიკლუნოვი.
ექიმი.
„ბოლგარსკაია ჟენშინა".

# სალბუნად ედება

გარეშე დღეს აღარ მუშაობს ბევრი სტომატოლოგი.

ანესთეზიოლოგი პაციენტის დაცვას იწყებს ოპერაციამდე კარგა ხნით ადრე. იგი როგორც წამლით, ისე სიტყვით ათავისუფლებს ავადმყოფს შიშის დამთრგუნველი გრძნობისაგან, რომელიც აუძლურებს ორგანიზმს. ამ დროს ანესთეზიოლოგი გვევლინება ფსიქოლოგისა და ფსიქოთერაპევტის როლშიც.

გახსოვდეთ, ანესთეზიოლოგთან საუბრის დროს უნდა იყოთ სავსებით გულახდილი, საბედისწერო შეცდომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყურადღებით გაიხსენოთ ყველაფერი: გადატანილი დაავადებები (მათ შორის ტუბერკულიოზური, ვენერიული), ამა თუ იმ წამლის აუტანლობა (ალერგია), საკვები პროდუქტის, ქიმიური ნივთიერების მიმართ, სქესობრივი და ოჯახური ცხოვრების ხასიათი (აბორტი, მკვდრადშობადობა, კლიმაქსის მოვლენები, სექსუალური სწრაფვა), მავნე ჩვევები (თამბაქოს წევა, ალკოჰოლის უზომოდ მიღება, ნარკოტიკების ხმარება), ახლო ნათესავთა მემკვიდრეობითი ან გენეტიკურად განპირობებული დაავადებები...

ეცნობა რა ავადმყოფს, სწავლობს რა მისი დაავადების ყველა ნიუანსსა და წვრილმანს, ანესთეზიოლოგი ირჩევს ანესთეზიის ყველაზე ოპტიმალურ, ინდივიდუალურ ვარიანტს, ამაში იგულისხმება გაუტკივარება (ამ მიზნისათვის მედიკამენტებისა და მათი დოზების შერჩევა), ორგანიზმის ფუნქციების მართვის მეთოდები: ხელოვნური სუნთქვა, სითხეების გადასხმა, ხელოვნური სისხლის მიმოქცევა, ჰიპოთერმია.

რაც უფრო მძიმეა ავადმყოფი, რაც უფრო დიდია ქირურგიული ჩარევა და რაც უფრო ახლოსაა იგი ისეთ ორგანოებთან, როგორიცაა გული, თავის ტვინი, მით უფრო მეტადაა მოსალოდნელი ამა თუ იმ გართულების განვითარება, რომლის პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებებით დაძლევაში ჩანს ანესთეზიოლოგის ხელოვნება, რაც ეფუძნება ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიის, ბიოქიმიის, ფარმაკოლოგიის, თერაპიის, შესაბამისი ვიწრო დარგების (კარდიოლოგია, ნევროპათოლოგია, ენდოკრინოლოგია...) ღრმა ცოდნას.

აი, ის მცირედი, რაც მინდოდა მომეთხრო თქვენთვის ამ რთულსა და უცნაურ პროფესიაზე, რომლის წარმომადგენლები არც თუ იშვიათად ჩრდილში რჩებიან. მათზე ცოტა იციან პაციენტებმაც.

ამ წერილის მიზანი გახლავთ შეგახსენოთ, რომ ადამიანი საოპერაციო მაგიდაზე მარტო არ არის. მის გვერდითაა ექიმი-ანესთეზიოლოგი, რომელიც მას დაიცავს მარტოობის სევდისაგან, ქირურგიული დანის მოქმედებით მიყენებული ტკივილისაგან. იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში ყურადღებით უსმენს თქვენს გულისცემას, დარაჯობს თქვენს „მშვიდ ძილს" და მაშინ, როდესაც ყველაფერი უკან რჩება, პირველად თქვენ სწორედ ამ ადამიანის ხმა გესმით. მიჰყევით ამ ხმას, ისუნთქეთ მშვიდად და მძლავრად. თამამად, ფართოდ გაახილეთ თვალები და შეხედეთ მას, ვინც ერთი წუთითაც არ მიგატოვათ, თქვენთან ერთად გადაიტანა ეს განსაცდელი და სიცოცხლისაკენ გიბიძგათ; შეხედეთ ადამიანს, რომელიც სალბუნად დაედო თქვენს სატკივარს.

**ვახტანგ ახალაძე,**
აკადემიკოს ერისთავის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის გულის ქირურგიის კლინიკის მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

### წარსულიდან

# მელოგინე ძველ საინგილოში

ძველად ჰერეთში — საინგილოში ფეხმძიმე ქალს მშობიარობის დრო რომ დაუდგებოდა, ცალკე ქოხში გადაიყვანდნენ („ქრისტე ღმერთიც ქოხში დაბადებულიაო") ან „დიდი სახლის" ერთ კუთხეში — მიწურზე გაუშლიდნენ ჯეჯიმს და იქ მოალოგინებდნენ.

მოლოგინებიდან ორმოცი დღის გასვლამდე, ოჯახის არც ერთი წევრი, არც მეზობელი, არც ტოლ-მეგობარი მელოგინესთან ქოხში არ შევიდოდა, რომ არ გაუწმინდურებულიყო. თუ ვინმე ამ წესს დაარღვევდა და მელოგინესთან მაინც შევიდოდა, ის ვეღარც ცომს მოზელდა, ვეღარც „საკმეველს ჩაყრიდა" და ვერც საყდარზე წავიდოდა სალოცავად; ამიტომ, ნათესავი თუ მეზობელი, ვინც კი მელოგინეს მოინახულებდა, ქოხის კართან ჩამოჯდებოდა და მიტანილ საჭმელსა თუ სხვა მოსაკითხს იქვე ზღურბლზე ჩამოდებდა. მელოგინე საჭმელ-სანოვაგეს თავის ჭურჭელში გადაიტანდა, რომ სხვისი არ გაუწმინდურებულიყო. თუ ეს წესი შემოხვევით დაირღვეოდა, მელოგინესთან ნამყოფი ჭურჭელი აუცილებლად ნაცარტუტაში უნდა გამოხარშულიყო. ორმოცი დღე მშობიარეს ქოხში უნდა გაეტარებინა; ღამღამობით მას მორიგეს უყენებდნენ, ალს რომ არ შეეშინებინა, რადგან ღრმად სწამდათ, ალი სულ იმის ცდაშია, მელოგინე დაახრჩოსო, არავითარ შემთხვევაში მას მარტო არ დატოვებდნენ.

ორმოცი დღის გასვლამდე ქოხის დაგვადასუფთავება და რეცხვა მელოგინეს თავად უნდა შეესრულებინა. მეორმოცე დღეს მელოგინე დარეცხავდა თავის ნახმარ ლოგინის თეთრეულს, ტანსაცმელს, დაიბანდა, სუფთად ჩაიცმევდა, მერე გეჯაში ჩაასხამდა ორმოც კოვზ წყალს, მას მიუმატებდა თბილ წყალს და იმაში ჩვილს აბანავებდა და ამის შემდეგ გადასახლდებოდა „დიდ სახლში".

ჩვილ ბავშვს ოჯახში პაპა, ბებია და ოჯახის სხვა წევრები ეფერებოდნენ და ანებივრებდნენ. მეძუძურ დედასაც ყველანაირად ხელს უწყობდნენ და ნაკლებად ამუშავებდნენ, რომ შვილს ყურადღება არ მოკლებოდა.

**მიხეილ ყულოშვილი**

# „იავნანა“ –

**– „იავნანა“ ხატია იმ ქვეყნისა, სადაც იგი იმღერება. „იავნანა“ ის კეთილი მეგზური იყო, რომელიც პატარა ადამიანს უადვილებდა შემოსვლას წუთისოფელში, ამან გვაფიქრებინა გადაგველო ფილმი, – თქვეს დამდგმელმა რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ და სცენარის ავტორმა ნინო ნატროშვილმა.**

**ვიდრე ეს წერილი დაიბეჭდება, ვინ იცის, რამდენი ჯილდოს მფლობელი გახდება ფილმი. ჯერჯერობით კი, მოპოვებული აქვს – მოსკოვში გამართულ საბავშვო და საყმაწვილო ფილმების მე-16-ე საერთაშორისო ფესტივალზე ჟიურის მთავარი პრიზი რეჟისურაში და ქრისტიანული ჟიურის სპეციალური დიპლომი – დიდებული მხატვრული ფორმისთვის, იალტის საერთაშორისო კინოფორუმზე – მთავარი პრიზი ვერცხლის ლურსმანი, პატარა ნინო აბულაძეს – ვერა ხოლოდნაიას სახელობის პრიზი – „ყველაზე ნორჩი“. იტალიის ქ. პეზაროში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმმა გრან-პრი დაიმსახურა. პოლონეთის ქალაქ ლაგოვოში – ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კინოფესტივალზე „ვერცხლის მტევანი“ და კინოკლუბების საპატიო ჯილდო.**

**ვესაუბრებით რეჟისორსა და სცენარის ავტორს.**



რეჟისორი ნანა ჯანელიძე და ოპერატორი გიორგი ბერიძე

**– ქალბატონო ნანა, თქვენ სახელოვანი რეჟისორის თენგიზ აბულაძის რძალი ბრძანდებით, რა მოგცათ მასთან შემოქმედებითმა ურთიერთობამ?**

– უპირველეს ყოვლისა, ბატონი თენგიზი ჩემი მასწავლებელი და გზის მაჩვენებელია. მან განსაკუთრებული ხელწერის სკოლა შექმნა ქართულ კინოხელოვნებაში. ბატონი თენგიზი წინააღმდეგი იყო ნაწარმოების პირდაპირი ეკრანიზებისა, მაქსიმალურად შორდებოდა მის პირველ წყაროს, იმავდროულად, მონურად ერთგული რჩებოდა მწერლის სულისა. ამიტომ მისი არცერთი ფილმი არ ჰგავს ერთმანეთს. გავიხსენოთ – „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მონანიება“. არაფერს ვამბობ მის ადრინდელ მოღვაწეობაზე.

როცა ბატონი თენგიზი „ნატვრის ხეზე“ მუშაობდა, მისმა სტუდენტებმა საწარმოო პრაქტიკა ამ ფილმზე გაიარეთ. შემდეგ გავხდი „მონანიების“ სცენარის თანაავტორი, მეორე რეჟისორი და მუსიკალური გამფორმებელი.

ჩემი მეუღლე გია აბულაძე არქიტექტორია, იგი საბავშვო ქალაქ „მზიურის“ პროექტის ავტორია თავის კოლეგებთან ერთად.



კადრი ფილმიდან „იავნანა“

**ნინო ნატროშვილი:** ბატონ თენგიზს გამორჩეულად უყვარდა და მოსწონდა ნანა, ენდობოდა მის გემოვნებას. აბიტურიენტობიდან მხედველობის არეში ჰყავდა, გვერდიდან არ იშორებდა, მეც მან ამირჩია და მიმიყვანა რედაქტორად კინოსტუდიაში. მას, როგორც ჩემს მასწავლებელს, ისე ვუყურებ დღესაც. მახსოვს, როგორ თავაუღებლად მუშაობდა ბატონი თენგიზი თავის სტუდენტებთან ერთად „ნატვრის ხის“ სარეჟისორო სცენარზე. ყოველ ეპიზოდს რამდენჯერმე მიუბრუნდებოდნენ, ამუშავებდნენ. დამდგმელი მხატვარი ბატონი რეზო მირზაშვილი ესკიზებს ქმნიდა, საინტერესო გუნდი შეიკრა. დაიწყო ექსპედიციები, მთელი კახეთი შემოვიარეთ, გადასაღებად სიღნაღის რაიონი ავირჩიეთ, ნანატრი დრო იყო...

**– ამბობენ, „იავნანა“ ბატონმა თენგიზმა დაიწყო და მისი ავადმყოფობის გამო ნანამ გააგრძელაო?**

– ასე თქვეს? სინამდვილეში წინააღმდეგი იყო ამ ფილმის გადაღების. ჩვენც ბევრს ვფიქრობდით, რატომ ვილებდით ყველასათვის საყვარელ და ამიტომ საშიშ თემას. ხუთი წელი ოცნებაში გავლიეთ. გვინდოდა გადმოგვეცა ის სულისკვეთება, რაც ახასიათებს გოგებაშვილის შემოქმედებას. მისი „დედა ენა“, პატარებისათვის განკუთვნილი ყოველი მოთხრობა ხომ გამსჭვალულია სამყაროსადმი დიდი მოწიწებით, ლოცვის განწყობით, ბავშვური ინტერესით ბუნების ყოველი მოვლენისადმი... გოგებაშვილისმიერი ქვეყნიერება მართლაც რომ „გვაქვს უთვალავი ფერითა“. პაწია ხორბლის თავგადასავალი, ან ორაგულის ცხოვრება არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე ქეთოს მობრუნება. ეს სულისკვეთება იყო ჩვენთვის მთავარი, სამყარო, რომელიც უამრავ საიდუმლოს შეიცავს. თუ შესძელი საკუთარი ეგოიზმის დაძლევა, კვლავ მოიპოვებ სამოთხეს სულში.

საერთო არეულობამ ხელი შეგვიშალა, ფილმი სამ წელიწადს იყო წარმოებაში.

**– ქალბატონო ნინო, როგორი ადამიანი და რეჟისორია ნანა?**

– ნანას სახით თენგიზის სკოლა არ გაქრება. ის თითქმის თენგიზის განმეორებაა. მუშაობის პროცესში ყველას „მოგვილო ბოლო“. სხვა რომ ისვენებდა, ერთობოდა, იძინებდა, ის ერთადერთი იდგა ფეხზე, დიდი შრომისმოყვარე, საინტერესო შემოქმე-

# კეთილი მეგზური



ნატო მურვანიძე — დედა



ნინო აბულაძე და არჩილ ციციშვილი



მაია ბაგრატიონი — დიდი ქეთო

დია, მომავალში მეტი ითქმება მასზე. შემოქმედებით სიმწიფეში ახლა შედის. ორი შვილის დედაა, თორნიკე თხუთმეტი წლისაა, ნინო (ფილმში ქეთო) — შვიდი წლის. შვილებს და შემოქმედებით საქმიანობას ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება ნანა.

**— ნანა, „იავნანა“ თქვენი მერამდენე ფილმია?**

დამოუკიდებლად გადავიღე „ოჯახი“. „იავნანა“ ჩემი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. ალბათ ახლა უნდა შექმნილიყო იგი. ეს პატარა მოთხრობა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს დღეს. მსოფლიოში ერებს შორის ისეთი დაპირისპირებაა, რომ მკაფიოდ ჩანს, ადამიანებმა დაივიწყეს ბავშვობა, მისი პირველი ხატი — „იავნანა“, ის სიყვარულით გამსჭვალული სასწაულმოქმედი ჰანგი, რომელიც ერის მშვიდი და კეთილი ძალებით არის ნასაზრდოები.

**— ქ-ნო ნანა, რას იტყვით ქ-ნ ნინოზე?**

— „იავნანას“ გადაღების იდეა მისია. ერთხელ ხუმრობით მითხრა: — ქართველებს ისეთი ნაწარმოებები გვაქვს, რომ შეიძლებოდეს, ჰოლივუდს მივყიდდითო. ადრე გაერთიანება „დებიუტში“ მუშაობდა. ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, ბედნიერებაა ასეთ საინტერესო ადამიანთან თანამშრომლობა, ნინო ჩემი და თენგიზის აღმოჩენაა, ალბათ გამიჭირდება უმისოდ მუშაობა.

**— რა ხდებოდა კადრს მიღმა?**

— „მსხვერპლიანი“ ფილმი გამოდგა „იავნანა“. დიდხანს ვეძებდით ერთმანეთს. ძიების პერიოდი მძიმე და მწარე იყო, ვინც მთელი არსებით არ იყო ჩართული მასში, ვერ გაუძლო. როცა საბოლოოდ ჩამოვყალიბდით, გაქრა დაძაბულობა, ერთმანეთს გავუგეთ. სცენარის ოთხი ვარიანტი დავწერეთ. ფილმი კი სულ სხვა გამოვიდა. მახსოვს, ეს მიკვირდა „ნატვრის ხეზეც“. სარეჟისორო სცენარის დამუშავებისას, მეგონა ყოველი დეტალი, ნიუანსი, ფერი, გააზრებული და დაფიქსირებული გვქონდა ქაღალდზე — ეკრანზე კი ფილმმა სულ სხვანაირი სიცოცხლე შეიძინა. „იავნანაზე“ თითქმის მთელი შემოქმედებითი ჯგუფი გამოიცვალა. მეხუმრებოდნენ — ახლა შენი თავიც შეცვალე და ყველაფერი დალაგდება, გადაღებასაც მაშინ დავიწყებთო. თითოეული მონაწილის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ყველა მათგანი მომწონს და ვეთაყვანები მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს, ადამიანურ თვისებებს, პროფესიონალიზმს.

ერთმა თელაველმა მაყურებელმა შეკითხვა მოგვცა, დაკარგულ ქეთოში დაკარგული აფხაზეთი ხომ არ გიგულისხმიათო. შინაგანად ვგრძნობდით, ერი კალაპოტიდან ამოვარდა. კულტურამ უნდა შეკრას და სასიკეთოდ შემოაბრუნოს იგი, გაუფაქიზოს სული, თუმცა ზოგჯერ ეკრანზე ნაწარმოების ზუსტად გადატანა არვარგა, წამგებიანია, იმას რასაც ნაწარმოები იტანს, ეკრანი ვერ აიტანს. ამიტომ ვთქვით ბევრ რამეზე უარი, მაგალითად დაღესტანზე.

**— ქ-ნო ნანა, სად სწავლობდით?**

— თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე თენგიზ აბულაძის სახელოსნოში.

**— თუ საიდუმლო არ არის, რაზე მუშაობთ?**

— თავს ვერ მივცემ უფლებას, რაიმე კონკრეტულზე ხმამაღლა ვთქვა. ფუტკარი რომ აგროვებს ყვავილთა მტვერს, იმ სტადიაში ვარ.

დღეს კინოსტუდია მკვდარია უსახსრობის გამო. ფილმის გადაღება შეუძლებელია. თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული რადიკალური ზომები, ქართული კინო, როგორც მოვლენა, ფენომენი, ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი წახნაგი დაღუპულია. იქმნება სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“, იმედოვნებენ, იგი ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ქართულ კინოხელოვნებას.

**— ქ-ნო ნანა, როგორც ქალი, დედა, რეჟისორი, რას უსურვებთ „საქართველოს ქალის“ მრავალათასიან მკითხველს?**

— თქვენი ჟურნალის მკითხველი გახლავართ. მომწონს შინაარსითაც, მხატვრული გაფორმებითაც.

დედებს ვურჩევ, უფრო მკაცრები და მომთხოვნები იყვნენ საკუთარი შვილების მიმართ, რათა ქვეყანა დაემსგავსოს ქვეყანას, ნუ დაგაბრმავებთ შვილის სიყვარული. ნუ დაემონებით მას. გერცენს აქვს ასეთი გამონათქვამი — „მოგვეცით უკეთესი დედები და ჩვენც ვიქნებით უკეთესი მამულიშვილნი“. ჰოდა, თქვენი ჟურნალიც ხომ ამ წმინდა საქმეს ემსახურება — კარგმა დედებმა კარგი შვილები აღზარდონ.

ნანული ბუკია

## სილამაზის გაკვეთილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახდომა თუ გსურთ



დღეს აღარავინ იღებს ქათინაურად სიტყვებს: „უი, როგორ გასუქებულხარ". მართლაც, ზედმეტი სიმსუქნე არავის უხდება. ამის გარდა, მსუქანი ადამიანები მალე იღლებიან და ავადაც უფრო იოლად ხდებიან. ინგლისელები ამბობენ: ვიწროწელიანი ადამიანები დიდხანს ცოცხლობენო. არადა, რა ძნელია ზოგჯერ მეორე ნაჭერ ნამცხვარზე ან გვარიანად დამტკბარ, მურაბიან ჩაიზე უარის თქმა. მედიცინას ჯერ არ გამოუგონებია ისეთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც არც ნუგბარს დაიკლებ და არც გასუქდები. ზედმეტ წონას ისევ ძველი, ნაცადი მეთოდებით უნდა ვებრძოლოთ, ესენია დიეტა ან ფიზკულტურა. თუ დიეტის დაცვა გადაწყვიტეთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

თუ მტკიცედ გადაწყვიტეთ გახდომა, ამის შესახებ ყველა მეგობარს ამცნეთ. მათ გაუკვირდებათ თქვენი სიმტკიცე, თქვენ კი უკანდასახევი გზა მოგეჭრებათ.

ეცადეთ, რომელიმე მეგობარიც აიყოლიოთ. ერთად ნაკლებად გაგიჭირდებათ დიეტის დაცვა.

გააფრთხილეთ შინაურები, რომ თქვენ აღარ მოამზადებთ ტკბილეულსა და სხვა გემრიელ კერძებს და საერთოდ, იშვიათად გამოჩნდებით სამზარეულოში. ამით ორ კურდღელს დაიჭერთ: ასწავლით ქმარშვილს კერძების დამზადებას, ისინი კი მეტად დააფასებენ თქვენს ოსტატობას.

სამსახურში, შესვენებაზე, ეცადეთ მიირთვათ ის, რაც ყველაზე ნაკლებად გიყვართ. მარილიანი, მჟავე და ტკბილი დროებით დაივიწყეთ.

პირველ დღეებში უთუოდ გაგიჭირდებათ უვახშმოდ დაწოლა. ამიტომ თავი შეიქციეთ სხვა საქმიანობით. უკიდურეს შემთხვევაში — გაისეირნეთ.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, ჩაი უფრო გიყვართ, თუ ჩაის სმის ცერემონია? ალბათ, ეს უკანასკნელი. მერე და, ვინ გიშლით მეგობრებთან ჩამოჯდომას?! სვან მურაბიანი ჩაი, თქვენ კი ტკბილად ისაუბრეთ.

თუ ამასობაში რომელიმე დღესასწაული მოვიდა, გახდომა კი მაინც ვერ მოასწარით, ნუ შეგეშინდებათ და ნუ ჩაიცვამთ მუქი ფერის ტანსაცმელს, აქაოდა, გამხდარს გამომაჩენსო. აირჩიეთ ყველაზე ლამაზი კაბა, გამოეწყვეთ და სხვებთან ერთად იმხიარულეთ.

# საქმე ვარცხნილობაში როდია

ძალიან მინდოდა მქონოდა გრძელი თმა, როგორ მიხაროდა, როცა მხრებამდე გამეზრდებოდა. ახლა კი მათი მოვლა მხოლოდ ტანჯვაა: ჩქარა ცხიმიანდება, თუმცა, ხშირად ვიბან... იქნებ შევიჭრა?

მკითხველის წერილიდან

საქმე თმის შეჭრაში როდია, ეტყობა, შენ არ იცი თმის მოვლა. თუმც ეს ძნელი ხელოვნება არ არის, ცოდნა მაინც სჭირდება.

ჯერ ერთი თავის დაბანა კვირაში ერთხელ მეტად არ არის საჭირო. ხშირი ბანვა მხოლოდ აძლიერებს ცხიმის გამოყოფას. ამ არასასურველ პროცესს ხელს უწყობს აგრეთვე ცხელი წყალი და თმის ფენით გაშრობა. უმჯობესია იხმაროთ მხოლოდ თბილი წყალი და თმაც ჰაერზე გაიშროთ.

სასარგებლოა თავის დაბანა არა საპნით, არამედ მშრალი მდოგვისაგან გაკეთებული ნაყენით (ერთი სუფრის კოვზი მდოგვის ფხვნილი ორ ლიტრ წყალზე) გადასავლებად გირჩევთ ბალახების ნაყენებს: ჭინჭარს, კრაზანას, მრავალძარღვას. აიღეთ თითოეული ბალახის თითო სუფრის კოვზი, დაასხით ორი ლიტრი მდუღარე, დააყენეთ 20-30 წუთი თავდახურული, შემდეგ გაწურეთ და გადასავლებიც მზადაა.

მშრალი თმა სასურველია დაიბანოთ კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათადაც კი. ცხელი წყალი და ფენით გაშრობა მათთვისაც უკუნაჩვენებია. უმჯობესია ისარგებლოთ არა საპნით, არამედ ქაფით ან შამპუნით. გადაივლეთ ბლომად წყალი, რომელშიც, კარგი იქნება, თუ ცოტა სოდას დაუმატებთ წყლის დასარბილებლად.

დაივარცხნეთ თმა (განსაკუთრებით გრძელი) რბილი ჯაგრისით სხვადასხვა მიმართულებით. უკეთესია ამ პროცედურის ჩატარება ძილის წინ.

მათაც კი, ვინც თმის გაზრდას აპირებს, მოუწევთ თვენახევარ-ორ თვეში 2-3 სანტიმეტრით თმის შემოკლება, მაშინ თმაში ბოლოჭამიები აღარ გაგიჩნდებათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორი ხასიათი გაქვთ?

## ამის შესახებ მეტყველებს თქვენი ტანსაცმელი

**თავს თვლით კეთილმოსურნედ, ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანად, კარგ მეუღლედ და დედად, სამაგალითო დიასახლისად, საიმედო მუშაკად... მაგრამ საინტერესოა, ამავე აზრისანი არიან თუ არა თქვენზე ახლობლები, ნათესავები, მეგობრები და კოლეგები? ხანდახან ხომ ძალზე ძნელია საკუთარ თავს სხვა ადამიანის თვალით შეხედო. იმედი გვაქვს, ბულგარელი სპეციალისტების მიერ შედგენილი ტესტი ამაში დაგეხმარებათ. ის, რა თქმა უნდა, სახუმაროა, მაგრამ მაინც...**



ცდილობთ თუ არა ყოველი სეზონისათვის იყიდოთ რაიმე ახალი ტანსაცმელი, მაშინაც კი, როცა ეს სრულებით არ არის აუცილებელი;

დიახ — 3 ქულა, არა — 0.

როგორ ქსოვილებს ამჯობინებთ — ერთი ფერისას (3 ქულა) სახიანს (2 ქულა) თუ არ გაქვთ გარკვეული.

როგორ სტილს აირჩევდით თქვენთვის: კლასიკურს (0 ქულა) სპორტულს (3 ქულა), იმას, რომელიც მოდაშია (5 ქულა) თუ ზემოდურს (7 ქულა);

გყოფნით თუ არა სითამამე პირველმა ჩაიცვათ ყველაზე ექსტრავაგანტული, სუპერმოდური სამოსი?

დიახ — 5 ქულა, გააჩნია გარემოებებს — 3, არა — 1.

ანიჭებთ უპირატესობას ფერთა თამამ შეხამებას?

დიახ — 5 ქულა, იშვიათად — 3, არა — 1 ქულა.

გიყვართ თუ არა სპორტული ბლუზონები (3 ქულა), ინგლისური კოსტიუმები (2 ქულა), სადა და მკაცრი, თარგზე გამოჭრილი ქვედაკაბები? (1 ქულა).

შლაპების რომელ მოდელს აირჩევდით: რომანტიულს, ფართო ფარფლებით (7 ქულა), პატარას და კოხტას უფარფლოდ, (2) თუ საერთოდ არ ისურვებთ შლაპას? (0 ქულა).

როგორი ჩანთები უფრო მოგწონთ: სპორტული, მხარზე /გადასაკიდით (4 ქულა), ზარდახშის ფორმის (3), „კონვერტი" (2). თუ ის გიყვართ, რაც მოდაშია? (0 ქულა).

გიყვართ თუ არა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი?

დიახ — 3 ქულა, არა — 0 ქულა.

თქვენი საყვარელი საშინაო ტანსაცმელი: გრძელი ქვედაკაბა ბლუზონით, ჯემპრით (5), შარვალი სვიტერით (3), თუ უბრალოდ ქველმანებს იცვამთ? (2 ქულა).

რომელ სამკაულს ანიჭებთ უპირატესობას: მძივებს (7), გულსაბნევებს (5), კულონებს (3) თუ უბრალო მეწკვებს? (1 ქულა).

რომელია თქვენი საყვარელი ორნამენტი ქსოვილზე: ყვავილები (7), კოპლები (5), ზოლები (3), გეომეტრიული ფიგურები თუ ამჯობინებთ სადა ქსოვილებს? (0).

ახლა დაითვალეთ ქულები.

5-დან 11-მდე:

თქვენ დაკვირვებული ადამიანი ხართ, აფასებთ სიმშვიდეს და სტაბილურობას, არ ჩქარობთ გულის გახსნას, თუმცა ირგვლივ მყოფებთან ყოველთვის ზრდილობიანი და სალმიანი ხართ. ძნელად ამყარებთ ახალ ნაცნობობას, მაგრამ თუკი ვინმე თქვენს კეთილგანწყობას მოიპოვებს, სამუდამოდ ასე იქნება. თქვენ კარგი დიასახლისი ხართ, ბავშვებთან მომთხოვნი, სამსახურში შემსრულებლობით გამოირჩევით.

12-დან 22-მდე:

წინააღმდეგობრივი ხასიათი გაქვთ: თითქმის უმიზეზოდ სიხარული დარდით გეცვლებათ, ცუდი განწყობილებიდან ზღვარგადასულ მხიარულებაზე გადადიხართ. გიყვართ მუდმივ მოძრაობაში ყოფნა. ხშირად იცვლით შეხედულებებს, რაც ირგვლივ მყოფებს ყოველთვის როდი მოსწონთ. სამსახურში გამოირჩევით სისწრაფით, მიხვედრის უნარით. მაგრამ ასეთი პერიოდები ხშირად გეცვლებათ აპათიის დღეებით, უმოქმედობით.

23-დან 37-მდე:

თქვენ ახლოსა ხართ „ოქროს შუალედთან", გარშემომყოფთათვის თქვენთან ურთიერთობა სასიამოვნოა. თავს კარგად ფლობთ, კეთილმოსურნე ხართ, მაგრამ თუ აუცილებელია, შეგიძლიათ სწრაფი რეაგირება. ახერხებთ იმათი ნდობის მოპოვებასაც კი, ვინც თავიდან არც თუ კეთილად იყო თქვენდამი განწყობილი. კარგად ართმევთ თავს სამუშაოს. თქვენი სახლი მშვიდი ნავსაყუდელია მეგობრებისათვის.

37-ის ზემოთ:

ასაკის მიუხედავად სულით ახალგაზრდა ხართ. იოლად წამოენთებით და ასევე იოლად გიქრებათ ეს სურვილი. ძალზე ემოციური ხართ და არ შეგიძლიათ გრძნობების დაფარვა. ეს სირთულეებს გიქმნით გარშემომყოფებთან ურთიერთობაში, ართულებს მათ და თქვენს ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კროსვორდი



**თარაზულად:** 9. ლითონზე, ბრომზე, მედალიონზე და მისთ. ფოტოგრაფიული გამოსახულების მიღების ხერხი; 10. ძველებური, იშვიათი ნივთებით მოვაჭრე; 11. შემოწმების შედეგად ოფიციალურად გამოხატული მოწონება, დადასტურება; 13. მცირერიცხოვანი ხალხი სანკტ-პეტერბურგის ოლქში; 15. ფილმის „რაიკის შვილების" დამდგმელი ფრანგი კინორეჟისორი; 16. ფართოდ გავრცელებული ბულვარული მოთხრობები, ჟურნალები ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში; 19. დაბალი დიპლომატიური რანგი საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებაში; 20. მეფეების, ქურუმების თავსაბურავი ძველ აღმოსავლეთში; 22. ნიხრი; 23. ქართველი მოქანდაკე; 24. იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენა; 25. გასანათებელი მოწყობილობა თეატრში; 26. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში; 28. რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენებით დამახასიათებელი დროის დიდი მონაკვეთი, ხანა; 30. ერთგვარი პალმა; 32. ფიჭვის ანახეთქის ფისიანი ნაჭერი; 33. ქალაქი და პორტი იაპონიაში; 35. ფერმწერის ხელსაწყო-დანა; 39. იაპონური წარმოების ხელოვნური ბოჭკო, რომლისგანაც ამზადებენ ტანსაცმელს და სხვ.; 37. გარკვეული საზღვრებით შემოფარგლული მიწა-წყალი.

**შვეულად:** 1. ღმერთი; 2. დრამატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები; 3. მოწყობილობა როიალში, რომელზედაც დამაგრებულია პედალები; 4. კედლის ან ჭერის ნაწილი, რომელსაც შემოვლებული აქვს ორნამენტი და რომელშიც თავსდება რაიმე ნახატი ან სკულპტურა; 5. ტონების, ჩრდილების ცვლის მრავალფეროვნება ან თანამიმდევრობა ფერწერულ ნაწარმოებში; 6. მდიდრული სახლი ან აგარაკი; 7. მთავრის უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 8. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი საფრანგეთში, ბელგიასა და ზოგ სხვა ქვეყანაში; 12. გადასახადი სახელმწიფოში შეტანილსა და გატანილ საქონელზე; 14. მასობრივი თავის არიდება არჩევნებში მონაწილეობისაგან; 15. მე-15 ს.-ის სახელწოდება იტალიის კულტურის (ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების) ისტორიაში; 17. პატარა სასადილო იტალიაში; 18. ადამიანთა ან ცხოველთა ფიგურები პეიზაჟის ამსახველ ნაწარმოებში; 19. ჯარი; 21. ჩილეს ქალაქი და პორტი; 27. ხელოსანთა ამქრის უფროსი ძველად; 29. მარადმწვანე მაღალი ბუჩქი ან პატარა ხე; 31. კავკასიის მთიულების სოფელი; 32. სხვადასხვა დანიშნულების მაღალი ნაგებობა; 34. მთათა სისტემა ციმბირში; 35. ფილმის „ლიფტი ეშაფოტზე" დამდგმელი ფრანგი კინორეჟისორი; 36. სამხმიანი მუსიკალური ნაწარმოები; 37. ღვთაების ან წმინდანის მხატვრული გამოსახულება, რომელსაც მორწმუნეები თაყვანს სცემენ; 37. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა.

---

### № 7-9-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. მანსარდა; 6. ქეჩა; 9. რაგუ; 10. ლენჩი; 11. ლარი; 12. ლუქსი; 13. არია; 14. ჯაზი; 15. ლატავრა; 17. ტანკა; 21. „ზვარე"; 22. ელიტა; 23. ალთაი; 25. სარდელი; 28. მუზა; 30. „ლელა"; 31. ლავრა; 32. ინრო; 33. დოსიე; 34. პიკე; 35. მითი; 36. მოსკოლიუ.

**შვეულად:** 1. გრენადა; 2. მარიანა; 4. ალექსანდრია; 5. სალია; 6. ქულაჯა; 7. ჩაროზი; 8. გალანტერია; 16. როზინა; 18. ანდაზა; 19. ბარათაშვილი; 20. ჩემპიონატი; 24. პუანტი; 25. სალოპი; 26. დიადემა; 27. ლაფსუსი; 29. „ალეკო".

---



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68;
ცნობებისათვის
98-95-79.

მასალები გადაეცა ასაწყობად 15.04.94 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად
16. 09. 94 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი
6 000. შეკვ. 401.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიზმარი.

ზურაბ დათუაშვილის ფოტოგრაფიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76

ფასი 50 000 მანეთი.